ISSN 0321—1509
4•1992

# საქართველოს ქალი

645/
1992/2



შევეწიოთ ჩვენზე გაჭირვებულთ და ღმერთი შეგვეწევა

სიყვარული, როგორც „ბედის საჩუქარი", როგორც „ნიშანი ღვთის

იყიდება... ქართული პატიოსნება. ეოვითეინოთ?

პრაქტიკუმი მშობლებისათვის— მასალები ჩვილთათვის

მზია ბაქრაძის ლექსები

ზღაპარი პატარებისათვის

ხულიო იგლესიასი აჯამებს თავის ცხოვრებას

გემრიელი კერძები. სასარგებლო რჩევები დიასახლისებს

საქართველოს რესპუბლიკის
ჟურნალი ქალებისა და
ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნაზი თარხამაძე,
ლია კაკაბაძე
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნაზი კილასონია,
ლაშა კიკალეიშვილი,
გურამ ქვარაცხელია,
ცინარა ტერელაძე
(მხატვრული რედაქტორი),
ირმა ჩოფიკაშვილი,
ნინო ჯავახიშვილი,
ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნაწული ბუკია

ყდის პირველ გვერდზე —
ბენო პაპიაშვილის ფოტოეტიუდი.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“
მ. კოსტავას ქ. № 14

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magazine for Women of the
Republic of Georgia

# ანონსი

## ჩვენი ჟურნალის შემდეგ ნომერში წაიკითხეთ:

### სიცოცხლე სიყვარულით იწყება

ამ წერილით ვიწყებთ წერილების ციკლს სიყვარულზე, მის მეტამორფოზებზე უძველესი საუკუნეებიდან დღემდე. ავტორი — ექიმი ფსიქიატრი სარ გებლობს ფროიდის, ფრომის, ფრანკლის ნაშრომებით. წერილში ნახავთ ორიგინალურ მოსაზრებებს სიყვარულის ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ კანონზომიერებებზე.

### ქალი და პოლიტიკა

თუმცა რუბრიკას ასე ჰქვია, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საგარეო საქმეთა კომისიის ხელმძღვანელი ირინა სარიშვილი თავის აზრს გაგიზიარებთ ოჯახზე, ქალის სულიერ ცხოვრებაზე, სულის გადარჩენის აუცილებლობაზე.

### რატომ სდით ხატებს მირონი?

მცხეთაში, სამთავროს დედათა მონასტერში ხატებიდან მირონმა იწყო დენა, რისი ღვთაებრივი ნიშანია იგი?

### ამ სახლს რომ სტუმრები ჰყოლია...

სოფიკო ჭიაურელი გულახდილად გიამბობთ თავისი ცხოვრების რომანზე

### გზა, მოფენილი ბარიერებით

სიყვარული მაშინ მოვიდა, როცა ვაჟიცა და ქალიც ინვალიდთა ეტლებით მოძრაობდნენ, მაგრამ ეს ისეთი სიყვარული აღმოჩნდა, რომელმაც მრავალი დაბრკოლება გადაალახინა ახალგაზრდებს. თუმცაღა, პრობლემა მაინც არსებობს და არა მარტო მათთვის.

### თუ გსურთ გყავდეთ ნიჭიერი ბავშვი

მოგაწვდით ცნობილი სპეციალისტის დევიდ ლუისის რჩევებს, რომელიც, წლების მანძილზე აკვირდებოდა ათასობით ოჯახს, სადაც ნიჭიერი ბავშვები იზრდებოდნენ. გყავთ ნიჭიერი ბავშვი? იქნებ ისარგებლოთ ჩვენი რეკომენდაციებით.

### ხელსაქმე. ქსოვა.

ნაქსოვი ყოველთვის მოდაშია.

### ვარჯიში და თამაში ერთ წლამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ამბობენ, გასულ კვირას, თბილისში შიმშილით გარდაიცვალა ადამიანი, თუმცა ნათესავებმა ეს ფაქტი თავმოყვარეობის გამო დამალეს. მაგრამ, ალბათ, დასამალიც არაფერია“.

გაზეთ „საქართველოს“ მოწინავე წერილიდან.

# ღმერთი შეგეწევათ...

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვაცნობიერებთ, როგორი გამალებით გვსალტავს გაჭირვების სუსხი. იცით, რომ თბილისში უკვე რამდენიმე ათასი ადამიანი შიმშილობს? ისინი, მარტოხელა, ხანდაზმული ადამიანები, მხოლოდ პურზე და წყალზე გადადიან (ახლა მათი პენსია თაგვსაც ვერ გამოკვებავს, ხოლო მათგან ყველაზე გაჭირვებულნი, 150-მდე მაინც, დღეში ერთხელ სათნოების სახლში უფასოდ სადილობენ, უფასოდ იღებენ საჭირო წამლებს და დაუნანებლად — თანაგრძნობას. ვისაც სიარული არ შეუძლია, სახლში მოელის „კათარზისელებს“, რომელთაც შაბათობით მათთვის სურსათ-სანოვაგე მიაქვთ.

რა ბედნიერებაა, რომ ამ უძლურ ხალხს თავისი პატრონი და მშველელი გამოუჩნდა. ჩვენ, უბრალო მოკვდავთ, შეგვიძლია მშვიდად ვიყოთ— ხომ დააფუძნეს სათნოების სახლი, კეთილი ინებონ და მაგათ მიხედონ იმ უპატრონოებს, ჩვენ ჩვენი თავი გაგვჭირვებია, ვის რა ვუსაშველოთ...

და მაინც, ჩვენო მკითხველო, სულ ცოტა ხნით მინდა შეგახედოთ იმ ადამიანების სამყოფელში, ყოველ შაბათს მოუთმენლად რომ მოელიან თავიანთ „შვილიშვილებს“ სათნოების სახლიდან. ჩვენ შეგახედებთ, თქვენ კი თავად განსაჯეთ, არიან თუ არა ჩვენზე მეტად გაჭირვებულები და საჭიროებენ თუ არა ჩვენგან ყურადღებას, სითბოს, ლუკმა პურს...

* * *

სოფიო პაპიაშვილი... თოჯინების თეატრის ყოფილი მსახიობი, ცხოვრობს გლდანში, მრავალსართულიანი სახლის პირველ სართულზე.

კარს დიდხანს არ გვიღებს, იძიებს ჩვენს ვინაობას, თავის „შვილიშვილს“ მანანას მოელოდა, ჩვენ კი არ გვენდობა. არც გაემტყუნება!

— კარგით, დეიდა სოფიო, — ეუბნება მანანას შემცვლელი ახალგაზრდა ვაჟი, — სანოვაგეს კართან დაგიწყობთ, მერე გააღეთ და შეიტანეთ.

დარცხვენილი ქალი კარს გვიღებს და ბოდიშებით შინ გვეპატიჟება.

ოთახში ოდეკოლონის მძაფრი სუნია. მოხუცი და მაინც კოხტა მასპინძელი (ეტყობა, რომ მსახიობია), სკამის საზურგეზე ხელებდაყრდნობით ძლივს მიდის საწოლთან.

ძველებური ავეჯი, გამხმარი ყვავილები, მისი ახალგაზრდობის დროინდელი სურათები...



ცხოვრობდა. ერთ დროს ბედნიერი იყო. უყვარდა, გათხოვდა, ორი მშვენიერი ვაჟი შეეძინა, როლები სასურველი ჰქონდა.

ომის დროს ორივე ბიჭი დაეღუპა, უფროსი, 5 წლისა, მანქანამ გაიტანა, ორი წლისა — ავადმყოფობით გარდაეცვალა. ქმარმა ვერ აიტანა ამდენი ნერვიულობა, სვამდა, ერთი წლის მერე მეოთხე სართულიდან გადმოვარდა...

— ჩემ შვილებს ხშირად ვხედავ, — ამბობს მშვიდად, — სიზმარში კი არა, ცხადში. საწოლთან დამისხდებიან და მიყურებენ. გაუნძრევლად ვზივარ, დიდხანს მინდა ვუყურო, მერე უცებ გაქრებიან ხოლმე, გული მწყდება, რა მოხდება, ცოტა ხანს კიდევ გაჩერდნენ... —საყვედურით ამბობს...

ჩვენთვის არაფერი შემოუჩივლია, სიკვდილისათვის ისე ვემზადები, როგორც საზეიმო წარმოდგენისთვისო, — გვითხრა გულისშემძვრელი სიტყვები.

* * *

ნ. აბრამიშვილი, 87 წლის, თითქმის ვერ ხედავს, ორივე ხელი უკანკალებს.

— 22 წელია, რაც ქმარი მომიკვდა. 25 წლისა ვიყავი, შვილი რო დამეღუპა, დავიჟინე, იმისი სიკვდილის მერე შვილს როგორ გავაჩენმეთქი. ეგრე იყო გენაცვალე, ჩემი უბედური თავის ამბავი.

შოკოლადის ქარხანაში ვმუშაობდი. 51 წლის სტაჟი მაქვს. ყოჩაღი ქალი ვიყავი და უჭკუო, მაშ მე შვილი აღარ უნდა გამეჩინა? განა ეგრე ვიქნებოდი ეხლა, უპატრონოდ?

მოდიან ხოლმე „კათარზისელი“ გოგოები — მანანა, ლია, მეხვევიან, მეტყვიან: ბაბოჯან, არაფერს დაგაკლებთო. რო ციოდა, ბამბაზიის ხალათი მომიტანეს, ვეუბნები: შვილო, თავს ძალა არ დაატანოთ და ისე არ მოხვიდეთ-მეთქი. ადამიანი რად უნდა შევაწუხო, აი, რადიო მართობს, ჩემი ამხანაგია. მე ნატეხი პურიც მეყოფა, შვილო, აღარ ვდარდობ, სადარდელი კარგახანია გამიქვავდა...

* * *

ქსენია ზამაროდინა — 91 წლის, გამხდარი, მაღალი ქალი, თითქმის ბრმა, ხელისცეცებით დადის. ავლაბარში, ძველთბილისურ ეზოში ცხოვრობს.

ასე მგონია, ქსენია ზამაროდინას ბინასავით იყო მოწყობილი რუსულ ზღაპრებში იმ კეთილი მოხუცი ქალების ქოხები, ზღაპრის გმირებს უშურველად რომ ეხმარებოდნენ.

ციცქნა ოთახში უზადო სისუფთავე სუფევს. ლამაზგადასაფარებლიან საწოლზე შვიდი სხვადასხვა ზომის ბალიში ერთმანეთზე შეკოლიკებულა, კედლებზე იშვიათი ქარგულობა ჰკიდია. გადასაფარებლები, საფენები სულ მისი ნახელავია —რუსულად უდარდელი, მხიარული, ჭრელა-ჭრულად ნაკეთები.

ორმოცი წელია, რაც საქართველოში ცხოვრობს. ერთადერთი ვაჟი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ომში დაიღუპა, ქმარი — ომამდე. ერთი საერთო ჩარჩოდან გვიყურებს მისი ცხოვრების წარსული ბედნიერება — ყველა საოჯახო სურათი ერთად მოუთავსებია.

შიტანილ მცირეოდენ სანოვაგეს უბრალოდ იღებს. ერთი კვირაა, პური საერთოდ არ ჰქონია, ახლა ამას გამოიზოგებს, მას ხომ ჩიტივით ცოტა ყოფნის, ისეთი სიფრიფანაა.

* * *

მარიამ ტუღუში, ინჟინერი, 80 წლის, კითხვის ნიშანივითაა მოხრილი. ცხოვრობს ვიწრო, გრძელსა და ბნელ ოთახში. სადღაც სიღრმიდან ძლივს ჭიატობს მკრთალი სინათლე. კედლები და ჭერი ნესტისგან სველია.

არ გათხოვილა, და-ძმა ადრე დაეხოცა. 73 მანეთი პენსია აქვს, რომ გაუორმაგდება და კიდევ... ის 40 მანეთიც...

ძალიან დაღლილია. წინა დღით რომელიღაც საზოგადოებას (არც იცის, რომელს) ფილარმონიაში წაუყვანია კონცერტზე.

— ოცი წელია კონცერტზე არ ვყოფილვარ. რა მეკონცერტებოდა, თავი ახლაც მიბრუის.

შოკოლადი უჩუქებიათ, ერთი კოლოფი. კოლოფი ახლა ყველაზე საპატიო ადგილას, ხატის წინ მედიდურად ასვენია.

* * *

გვიან იშვილა ბავშვი. თვითონ სამოცის იქნება, უკვე 7 წელია ლოგინსაა მიჯაჭვული. გოგონა კი მეთერთმეტე კლასშია.

— იქნებ მთავრობას ხმა მიაწვდინოთ, დამეხმარონ. ეს პატარა დახმარება არ მყოფნის, შვილო, არადა ყველა მერიდება უკვე, ახლობლები ნელ-ნელა ჩამომცილდნენ. ჩემი თავი ჯანდაბას, მაგრამ შვილს რა ვუყო?

* * *

მასთან რომ მიაღწიო, ოთხი სართული ვიწრო ხის კიბეებით უნდა იარო, მერე ბნელ, ვიწრო დერეფანს გაყვე და პატარა კართან დააბრახუნო, მერე კარგა ხანს უნდა დაელოდო, სანამ ათიოდე საფეხურზე ამოჩოჩდება კარის გასაღებად. უცნაურად ურგუნებია ბედს ნ. ხ-სთვის ეს ბინა, — რაც შეიძლება მეტად უნდა იწვალოს, მეტად გაჯახირდეს მოძრაობაწართმეული ქალი.

ომი რომ დაიწყო (ამ ჩვენ ომს ვგულისხმობ, რუსთაველზე რომ იყო გაჩაღებული), სულ ნ. ხ-ს დარდი მქონდა. იქვე, ყურისძირში ცხოვრობს ისიც.

როცა მივაკითხე, ისე გაეხარდა, შემრცხვა, უფრო ადრე რატომ არ მივედი-მეთქი.

ამხელა ეზოში მარტო მე დავრჩი იმ უბედურების დროსო, — მითხრა.

არ გეშინოდათ-მეთქი?

— როგორ არ მეშინოდა, ტყვიები ოთახში მიცვივოდა, მერე და მერე შევეჩვიე, საწოლის ქვეშ დავიდე ბინა. ადამიანი ისეთი ძაღლია, თურმე ყველაფერს ეჩვევა.

— საჭმელი თუ გქონდათ?

— ცოტა ორცხობილა მქონდა, მაგრამ ჭამაც არ მინდოდა, რომ დამთავრდა ყველაფერი, მერე წყალიც მომწყურდა და კიდეც მომშივდა.

„კათარზისიდან“ მოვიდნენ, ყურძენი და პური მომიტანეს, მეორე დღესაც იყვნენ,. მერე აღარ... აგერ, ორი კვირაა, ველოდები...

მოხუცი ქალია ნ. ხ; ოთხი წელია, მიწაზე ფეხი არ დაუდგამს. მხოლოდ დაჩოჩავს.

ასე მარტოხელა თუ დავრჩებოდი, რას წარმოვიდგენდი...

ამაყი ქალი ვარ, კარგ თანამდებობაზე მიმუშავნია, შვილო, არ მინდა, ჩემი ამბავი ქვეყანამ გაიგოს... დედაშვილობამ, ეგება პური მომიტანო, პური აღარა მაქვს სულ...

* * *

ქრისტიანული სიყვარული ხალხისადმი ზოგადი სიყვარული როდია. იგი გვერდით მდგომი გაჭირვებულისადმი სიყვარულია, რომელსაც შენი თანადგომა ჭირდება, თანადგომა და თანაგანცდა მარტო გაჭირვებულს როდი სჭირდება, იგი ჩვენშივე სულიერ განწმენდას იწვევს...

ღმერთო, მოგვეც ძალი, ყოველ კაცში დავინახოთ „ძმა საყუარელი“.

კი, ჩვენც გვიჭირს, მაგრამ ყოველთვის მოიძებნება, ვისაც ამ წუთში ჩვენზე მეტად უმძიმს, ვეცადოთ, შევეწიოთ ჩვენზე უფრო გაჭირვებულთ და ღმერთი შეგვეწევა.

**მანანა ზარიძე**

# ასე სწამდათ სამცხე-ჯავახეთში

ახალმოსულ პატარძალს ბიძა ან ვინმე სხვა ახლობელი ფუტკრის სკას აჩუქებდა-ასეთი ტკბილი, მშრომელი, მრავალშვილიანი, მძლავრი ოჯახის დედა ყოფილიყავიო.

ორსულ ქალს მეზობლობაში, ხალხში არ გაუშვებდნენ, ქალი თვალს აილებს და ბავშვიც თვალიანი დაებადებაო.

პურის გარჩევის დროს ორსულ ქალს ხვავს არ გააკარებდნენ — სახლს ბარაქა წაერთმევა და ბავშვის კუჭიც ვერ გაძღებაო. არც კევს აღეჭვინებდნენ — შვილი დორბლიანი დაებადებაო, წიწაკიანს არ მიაკარებდნენ — ბავშვი წირპლიანი იქნებაო. არიდებდნენ აგრეთვე დაკლულის სისხლთან შეხებას, სისხლი რომელ ადგილზეც მოხვდება, ბავშვს იმ ადგილას ტყირპად დააჩნდებაო.

მელოგინე ქალს უფრო რძესა და მაწონს აჭმევდნენ — ბავშვი კანით და სახით თეთრი დაიბადოსო. მშობიარობამდე ქალი მეზობლის საბუდრიდან კვერცხს მოიპარავდა — შვილს ლოყები გაცინებისას კოხტად ჩაეჩუტებაო.

როცა ქალს ბავშვი არ უჩნდებოდა, ანკარას მოკლავდნენ, გაახმობდნენ, დაფქვავდნენ და დააყრიდნენ მარჯვენა მუხლისთავზე. ამას ქალი ენით ალოკავდა. იმ წელს სალვთოს შეუთქვამდნენ, შვიდ მლოცავს შეალოცინებდნენ ქალის შვიდ პერანგს. თუ იმ შვიდი მლოცავიდან რომელიმე მეორის სიტყვებს გაიმეორებდა, იტყოდნენ, ქალს შვილი შეეძინებაო, თუ არა — ქალს შვილი არ გაუჩნდებაო.

შვიდი წყაროდან მოიტანდნენ წყალს და შიგ აბანავებდნენ. წყალს უბრად, უხმოდ წამოიღებდნენ, წყალმა არ გაიგოს, რისთვის მიგვაქვსო.

მშობიარობიდან ქალს ორმოც დღეს არ გააკარებდნენ ყველის, ერბოს ქოთანს, არც ფქვილს — წაახდენსო, იმიტომ რომ ქალი გაუნათლავად ითვლებოდა. როცა ორმოცი დღე შეუსრულდებოდა, მოუყვანდნენ მღვდელს და ისიც სახარებიდან ორმოც თავს წაუკითხავდა დაჩოქილ ქალს. შემდეგ ბებია ქალი ანთებული სანთლითა და ბავშვით ხელში გაუძღვებოდა ქალს. როცა კარში გავიდოდა, ბებია ქალი ბავშვს დედას გადასცემდა დალოცვით.

ორსულ ქალს უფლება ჰქონდა ეკლესიაში შესვლისა. ხოლო მშობიარობის შემდეგ, სანამ ორმოცი დღე არ გავიდოდა, ეკლესიაში ფეხს არ შეადგმევინებდნენ, არც სახლში, ოჯახის კერაზე, სანთელს არ დაანთებინებდნენ.

როცა დედას რძე გაუბრუნდებოდა, ზღურბლზე შედგებოდა და ასე მოსთხოვდა თავის რძეს: „მობრძანდი, მობრძანდი, მობრძანდი, ბავშვი მშიერი მყავსო“. ერბოში მოზელილ შაქრიან პატარა გუნდას დოლბანდში გაახვევდნენ, და ახალდაბადებულ ბავშვს პირში ჩაუდებდნენ საწუწნად, ვიდრე დედას რძე მოუვიდოდა. მასვე თაფლსაც გაალოკინებდნენ, თაფლში დასველებულ თითს პირთან შეახებდნენ — ტკბილი ხასიათი ექნებაო. თუ ბავშვი რომელიმე ქალისაგან თვალს აილებდა, იმ ქალს მოჰპარავდნენ რაიმე ნაჭერს და ბავშვს პერანგის ქვედა კალთაზე მიაკერებდნენ. ბავშვი თვალს აღარ აილებს, აღარ შეეშინდება და მოსვენებული იქნებაო.

**ნოდარ ივანიძე**

# ირაკლი აბაშიძის გამოსათხოვარი

## მშობლიურ სივრცეთა უსასრულობაში

გარდაიცვალა ირაკლი აბაშიძე — ცნობილი პოეტი, კოლორიტული ფიგურა ჩვენი მწერლობისა. წავიდა იგი ჩვენგან, ჩვენი არეული, მშფოთვარე ყოფიდან. მოულოდნელი უხმაურობით, რათა მშობლიურ სივრცეთა უსასრულობაში ეპოვა მუდმივი სამყოფელი.

მას ღრმა მოხუცებულად ვერ აღვიქვამდით, თუმცა ასაკი უკვე სოლიდური ჰქონდა — რაღაც გაუტეხელი შემართულობა იგრძნობოდა მის აღნაგობაში, პოეტის ტვირთს მომხიბლავი სიმსუბუქით ატარებდა თვით სულიერი კრიზისის მძიმე წუთებშიც...

ავტობიოგრაფიაში, რომელიც კარგა ხნის წინ გამოცემული მისი ლექსების კრებულს აქვს თანდართული, წერდა: „რამდენი რაიმე უნდა გადაეხარშა ჩვენს სულს, რამდენი აჩქარებული ძგერა უნდა აეტანა ჩვენს გულს, რამდენი ალღო უნდა აეღო ჩვენს გონებას... და შეუძლია კი ყველაფრის ამის აღწერა ავტობიოგრაფიის ოქმურ ენას? არა, პოეტის ბიოგრაფია ნამდვილად მის შემოქმედებაში უნდა ვნახოთ, მის ყოველ სტრიქონს რომ მოჰყვება თან“.

და აი, დამშვიდობებისას სწორედ მისი პოეტური ბიოგრაფიიდან გთავაზობთ რამდენიმე ტაეპს.



### ირაკლი აბაშიძე

●

ვინ რას დამძრახავს, —
  დღეც არ გასულა,
მე არ მესუნთქოს
  მიწის სურნელით:
მე ვიყავ
    ქვეყნით სავსე კაცურად,
ხან უამურით, ხან სასურველით.
ის ხან მანთებდა
      სხივით, ნათელით,
ხან ჩემს სულს გლეჯდა
აფთრის კბილებით;
ქვეყნის სატკივრით
      მე ვარ ჯანმრთელი
მე უნდა მოვკვდე ამ სატკივრებით.

ვინ რას დამყვედრის, —
დღე არ გასულა,
მე არ შეცოცხლოს
      ქვეყნის ხმაურით;
მე გულში მედო
      მთელ საგანძურად
ხმა მიწიური, ხმა აქაური,
მაგრამ მსურს მოვკვდე,
      როგორც მთის კაცი
და სამარის წინ
      ვთქვა გატეხილად,
რომ ზოგჯერ
    ჩემთვის გახსნილ ცისკარში
მე მსურდა ღმერთიც, ღმერთიც მეხილა.

●

დავუბარებ ყველა ქართველს
მისი წმინდა ვალი არის,
მოკვდეს, მაგრამ მკერდით შეკრას
დერბენტი და დარიალი.

●

ვერაფერს ქვეყნად ვერ შეველიე,
ცხოვრების ყველა ზვირთში ვერიე.
გულში ვიკრავდი ამ ტკბილ მზიანეთს,
მსურდა წამეღო ყველა სიამე,
წაგყვება რამე?!

ეროვნული ბიბლიოთეკა



სიყვარულს მართლა ზეციდან გვიგზავნიან თუ ის ჩვენშივეაʔ და თუკი ქორწინებებიც ზეცაში სრულდება, როგორ ვიპოვოთ და წარვუდგინოთ „ზეციურ კანცელარიას“ ის ერთადერთი, რათა აღსრულდეს უფლის ნება „ამისათვის დაუტეოს კაცმან მამაი თვისი და დედაი თვისი და შეეყოს ცოლსა თვისსა და იყვნენ ორივე ერთ ხორც“:

# სიყვარულის მოტივაციები

ამ კითხვებზე პასუხის გაცემას დიდი ხანია ცდილობს კაცობრიობის მოაზროვნე ნაწილი... 25 საუკუნის წინათ შექმნილი „სიყვარულის თეორიებიცა“ (სოკრატე, პლატონი, არისტოტელე) და თანამედროვე ავტორთა ნააზრევიც „სიყვარულის საიდუმლოებების“ შეცნობის მცდელობაა მხოლოდ და არა პასუხი...

მართლაცდა, არავინ უწყის, სად და როდის დაიბადა ეს უკვდავი გრძნობა... იქნებ ის სულაც ცხოველური არსებობიდან გამოყვა ადამიანს, როგორც გენეტიკურად განპირობებული აუცილებლობა... ან მერე შეიძინა „ნაწრთობი სულის“ ჯილდოდ... ერთი კი ფაქტია, თუკი ჯოგისაგან „მეს“ გამოყოფას მილიონობით წელი დასჭირდა, „სქესობრივი ლტოლვიდან“ იდეალურ სიყვარულამდე ამაღლებას გაცილებით მეტ დროს მოანდომებდა ადამიანი...

ამდენად, სიყვარულმა ხანგრძლივი და მეტად საინტერესო ევოლუციის გზა განვლო... და თავისი საკმაოდ ზიგზაგოვანი (ამაღლებითა და დამდაბლებით) განვითარების გზაზე საფიქრალი არ გამოულია ადამიანებს... თუმცა ყოველი მათგანი ბოლოს ერთ დასკვნამდე მიდიოდა: „სიყვარულის საიდუმლოებები შეუცნობელია“, რადგან „სიყვარულში უცილობლად არის რაღაც გაუგებარი, საბედისწერო, მისტიური და სავსებით შესაძლებელია, რომ მისი სწორედ ეს მხარე (რაც ახსნას არ ექვემდებარება) არის მთავარი მიზეზი სულთა ერთმანეთისადმი ლტოლვისა“...

ამ მიზეზთა (სიყვარულის მოტივაციების) შეცნობის კიდევ ერთ მცდელობად უნდა ჩაითვალოს „სიყვარულის ახალი თეორიის“ ფუძემდებელთა საინტერესო გამოკვლევა... მეცნიერთა (პროფ. სამკინი და მისი ჯგუფი) აზრით ყოველ ჩვენგანში „ჩადებულია“ (სქემის სახით) სახება ანუ ხატი ჭეშმარიტი საბედოსი... რადგან არსებობენ სავსებით ობიექტური მიზეზები, რომლებიც გვაიძულებენ შეგვიყვარდეს ის და არა სხვა... ამ „დიდი სიყვარულის“ საბაბი კი შეიძლება შეიქმნეს ერთი შეხედვით სრულიად უბრალო, წვრილმანი რამ... მაგალითად, როგორიცაა თვალების გამომეტყველება, ხმის ტემბრი, სიცილის მანერა... როგორც წესი, ამ დროს ადამიანი თურმე ვერც კი აცნობიერებს, თუ რამ მიიზიდა თავდაპირველად... და რატომ აღარ აქვს „იმასთან“ შედარებით მნიშვნელობა ისეთ ფასეულობებს, როგორიცაა — სრულყოფილი გარეგნობა, ჭკუა-გონება, ხასიათი და ა. შ. ე. ი. გამოდის, რომ ჩვენ სატრფო გვიყვარდება იმ ერთადერთი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშანთვისების გამო, რომლითაც ჩვენმა შინაგანმა ხმამ ის გამოგვარჩევინა ათიათასი ქალიდან (ან ვაჟიდან)... მოკლედ, როგორც ერთ ქართულ ანდაზაშია: „ვისაც ვინ მოსწონს, მისი ლამაზიც ის არისო“.

ამ მოვლენის მთელი საიდუმლო კი იმ „სასიგნალო ელემენტების“ არსებობაში ყოფილა, რომელთაც კონრად ლორენცმა („ცხოველთა ქცევის“ შესახებ მეცნიერების ფუძემდებელი) **რეალიზორები უწოდა** — ე. წ. სიმპათიის (სულაც სიყვარულის) გამომწვევი სიგნალები...

და როგორც ბუნებაში ყველაფერს, ამ მოვლენასაც გააჩნია ე. წ. „თავდაცვის მექანიზმი“... ესენი გახლავთ განზიდვის, ანუ ანტიპათიის გამომწვევი სიგნალები, როდესაც რომელიმე პიროვნების გარეგნული ნიშნები ან ხასიათის თავისებურება გადაულახავ ბარიერად დგება ურთიერთდაახლოვების გზაზე...

ბუნებრივია, იბადება კითხვა — თუკი ბუნებამ იზრუნა და ასე გენიალურად მოგვიწყო საქმე, რად მოგვდის შეცდომები საბედოს არჩევისას?... რა გვიშლის ხელს ვენდოთ შინაგან ხმას და „შევარჩიოთ“ ისეთი პარტნიორი, რომელიც ზუსტად პასუხობს ჩვენს გაცნობიერებულ მოთხოვნილებებს?

ამის მიზეზი მრავალია: ხანდახან საზოგადოებრივი აზრის ზეწოლით, ხანაც მერკანტილური მოსაზრებით თურმე ჩვენ თვითონვე ვახშობთ ჩვენში წარმოშობილ ბუნებრივ ლტოლვას და ხშირად ჭეშმარიტ სიყვარულს სუროგატით ვცვლით... აი, სწორედ აქედანაა შემდგომი ოჯახური უსიამოვნებები: ფიზიკური თუ ფსიქიკური შეუთავსებლობა, გაუცხოება... ჩვენ ვერც კი ვხვდებით, სად გაქრა ის გრძნობა, სიყვარულად რომ აღვიქვამდით... ამიტომ ვწვალობთ, ვიბრძვით არარსებულის „გადასარჩენად“, მაგრამ ამაოდ...

და კიდევ, ცხოვრებაში ხშირად ხდება, რომ ჩვენი შინაგანი ბუნება ერთბაშად რამოდენიმე ადამიანს მიელტვის და ვერ გაგვირკვევია, ამათგან რომელია ჭეშმარიტი საბედო... ამ მოვლენასაც თავისი ახსნა აქვს... მონოგრამიური სიყვარული (ქორწინება) ეს ევოლუციის პროცესში შექმნილი ქალისა და მამაკაცის ღვთით კურთხეული კავშირი გახლავთ; ხოლო პოლიგამია, რომელიც ჩვენი შორეული წინაპრებისთვის ნორმა გახლდათ, გენურ მახსოვრობაში შენარჩუნებული, ლტოლვაა ერთისა — მრავლისადმი... ამიტომაც იჩენს ის თავს ადამიანთა ურთიერთობაში. და ამიტომაც, რაც უფრო დახვეწილია პიროვნება, რაც უფრო ძლიერია მასში „ნაწრთობი სული“, მით მეტად მიელტვის ის „ერთადერთს“ და შესაბამისად მით უფრო დიდ ბედნიერებას ანიჭებს მას სიყვარული... ის უკვდავი გრძნობა, სადაც სუფევს „სულისა და სხეულის ზეიმი, ზნეობრივ თუ ესთეტიკურ მოთხოვნათა დაკმაყოფილება... რადგან მართლაც „არაფერი შეედრება იმ სიამოვნებას, რომელსაც ერთმანეთს ანიჭებენ მოყვარული მეუღლეები“.

უფრო მეტიც: მკვლევართა აზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით ყველაფერი, რაც სიმპათია ანტიპათიასთან არის დაკავშირებული, „რეალიზორების“ მოქმედების სფეროს განეკუთვნება და ამდენად ეს ე. წ. „ბუნებრივი სიგნალები“ „მოკარნახეებად“ გვევლინებიან არა მარტო საბედოს არჩევისას, არამედ ისინი განსაზღვრავენ ჩვენს დამოკიდებულებას სხვა ცოცხალი არსებებისადმი (ზოგი კატას ეალერსება, ზოგი მტრედს... უმრავლესობა ძაღლს, — ვიღაცა კუს), საგნებისადმი, მოვლენებისადმი, ხელოვნების ნიმუშისადმი და ა. შ.

მაგალითად, მრავალი ადამიანი მოუყვანია აღტაცებაში ლეონარდო და ვინჩის „მონა ლიზას“, მაგრამ არსებობენ ისეთებიც (მათ შორის დახვეწილი გემოვნების მქონე კრიტიკოსებიც კი), რომლებიც სავსებით გულგრილნი დარჩენილან ამ შედევრისადმი... ზოგიერთი განუზიდია კიდეც... ვიღაცას კი „ვენერა მილოსელის“ ქანდაკებამ ეროტიკული გრძნობა აღუძრა, მავანმა მასში უხამსობა დაინახა... და ა. შ.

ეს იმიტომ, რომ ყოველი შემოქმედი თავისებურად აღიქვამს სამყაროს და აცნაურებს მას... ამდენად ის გარემომცველი სამყაროდან მისთვის სასურველ „სახეს“ საკუთარი აღქმის შესაბამისად გამოყოფს. ე. ი. გამოდის, რომ მხატვრის ნამუშევარი, ეს გახლავთ „იდეალის“ ქვეცნობიერი ძიება, განპირობებული გენების (ჯერაც ამოუხსნელი) მოქმედებით... ამდენად, სიამოვნებას მისი ქმნილებისაგან განიცდიან ისინი, ვისი „სასიგნალო სქემებიც“ ეთანხმებიან და შესაბამისობაში მოდიან მხატვრის ძიებასთან... მაგ. გავიხსენოთ, რაოდენ დიდ აღტაცებას (ან განხიბლვას) იწვევენ ადამიანებში აბსტრაქციონისტები... ავანგარდისტები და სხვანი...

მართალია, „სიყვარულის ახალი თეორიის“ ავტორები „რეალიზორების“ მიკვლევით შეეცადნენ გარკვეული სიცხადე შეეტანათ „მარადიული პრობლემის“ გადაწყვეტაში და პასუხი გაეცათ ზემოთ ჩამოთვლილ კითხვებზე, მაგრამ ვგონებ, საბოლოო მიზანი მაინც მიუღწეველი დარჩათ, რადგან ჭეშმარიტად სიყვარულის საიდუმლოებები შეუცნობელია და ასე მგონია მისი ამოცნობა კვლავაც მრავალ მკვლევარს ამაოდ გარჯის...

ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, მივიღოთ სიყვარული, როგორც „ბედის საჩუქარი“, როგორც „ნიშანი ღვთისა“... ყველა ჩვენს ნააზრევზე უდიდესი...

**მანანა კეიდია,**
გენეტიკოსი.

20037



# არასოდეს უღალატნია

თუმც საამაყოა, მაგრამ იოლი როდია დიდი მამის შვილობა. იგი ძნელი ზნეობრივი გამოცდაა და ბარე ორი ვერ აბარებს მას.

მწარე, მაგრამ ღირსეული ცხოვრებით იცხოვრა მედეა იაშვილმა, დიდი პაოლოს სათაყვანებელმა ასულმა. მამის ანდერძით განათებული გზებით იარა, ერთხელაც არ გადაუხვევია ამ გზიდან და რაოდენ გენიალურად იყო წინასწარგანჭვრეტილი ეს გზა, რომელმაც საყოველთაო სიყვარული და პატივისცემა მოუპოვა ქალბატონ მედეას, თუმც სუსხიანი და ეკლიანი კი გახლდათ იგი.

დიდი მამის ბრწყინვალე შარავანდედი დიახაც შუქს ჰფენდა ამ დიდებულ ქალბატონს, თუმცაღა მთელი თავისი შინაარსიანი და მღელვარე ცხოვრების მანძილზე ერთხელაც არ ცდილა ვინმესთვის თვალი მოეჭრა ამ შუქის ელვარებით. ასეთი ქმედება მას უზნეო ქცევად მიაჩნდა. პირადი მომხიბვლელობა, ფიზიკური და სულიერი სილამაზე, მაღალი ადამიანური თვისებები, ცოდნა, დაუშრეტელი ენერგია, გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანის გვერდით დგომის უნარი, მისთვის დახმარების გაწევის დიდი სურვილი, მოყვასის უსაზღვრო სიყვარული და სითბო გამოარჩევდა ქალბატონ მედეას. უზადო პატიოსნების მქონეს არასდროს უღალატნია ზნეობრივი კოდექსის მოთხოვნებისათვის.

სიტუაციები იცვლებოდა. მედროვენი თავისას ცდილობდნენ, ქალბატონი მედეა, კდემამოსილი და მშვენიერი, ყოველთვის იქ იდგა, სადაც უნდა მდგარიყო ღირსეული და სულმაღალი ადამიანი. არადა, ძნელი იყო „ხალხის მტრის“ შვილის მძიმე და ავისმომასწავებელი იარლიყი ჯერ კიდევ მოუმაგრებელი მხრებით ეტარებინა, არ გაბოროტებულიყო, შურისძიების გრძნობით არ დასენილიყო, ადამიანი არ შეძულებოდა.

ქალბატონმა მედეამ გაუძლო ამ ჯოჯოხეთს და იქიდან კიდევ უფრო ამაღლებული გამოვიდა, რადგან მისთვის საცნაური გახდა ადამიანის სისუსტეც, და სიდიადეც. ტრაგიკულმა დრომ, რომელიც მის ყმაწვილქალობას დაემთხვა, მრავლად აჩვენა სულის დაცემისა და ამაღლების მაგალითები, რამაც სამუდამოდ და მტკიცედ ჩამოაყალიბა მისი ზნეობრივი კრედო.

იგი იყო იშვიათი შვილი, ცოლი, დედა, ბებია.

ქართული ეროვნული ენციკლოპედიის სამეცნიერო რედაქციის შექმნის დღიდან მოღვაწეობდა ქალბატონი მედეა აქ და ვინ გაზომავს და აწონის იმ წვლილს, ხიბლს, ეშხსა და სილამაზეს, რაც მან ქართველ ენციკლოპედისტთა ამქარს შესძინა თავისი ხანგრძლივი, ერთგული, ხალისიანი სამსახურითა და ლამაზი სიცოცხლით.

პირნათელი ეახლება ჩვენი სათნო მედეა მისთვის და მთელი ქართველი ხალხისათვის საამაყო მამის სულს. ვინ იცის, რას ეტყვიან ერთმანეთს ეს მოყვარული და მონატრებული სულები.

ეჰ, ვინ იცის!..

**გოჩა მგელაძე**



საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა



# „ჩონა საქართველო“

ირანის ძველი სატახტო ქალაქის ისფაჰანის სამხრეთ-დასავლეთით, ბახთირიის მაღალ მთებთან, ფერეიდანის ზეგანზე, ქართველები ცხოვრობენ. მათი წინაპრები ამ სამნახევარი საუკუნის წინათ შაჰ-აბასმა კახეთიდან ჩამოასახლა, თუმცა კი არ ჩამოასახლა, ჩამორეკა და ირანის სხვადასხვა მხარეს გაფანტა. ახლაც გვხვდება ადგილები „გურჯი ნაჰაისა“ და „გურჯი მაჰალის“ სახელწოდებით, თუმცა ახლა იქ სპარსულიღა ისმის. მხოლოდ ფერეიდანელ ქართველობას შემორჩა ქართული ზნე-ჩვეულებანიცა და დედაენაც.

პირველი ქართველი ფერეიდანიდან საქართველოს 1871 წელს ეწვია. ქართველები დიდი სიხარულითა და ცნობისმოყვარეობით შეხვდნენ თურმე იორამ ონიკაშვილს.

როგორი სიმბოლური დამთხვევაა — ზუსტად ერთი საუკუნის შემდეგ ჩამოსახლდნენ პირველი ფერეიდანული ოჯახებიც. სიხარული ახლაც დიდი იყო ქართველების მხრიდან, მაგრამ ამ სიხარულს რაღაც გულისტკივილიც ახლდა — კახეთის სხვადასხვა სოფლებში ჩაასახლეს ისინი, დაათითოვეს, ამით გულიც დაწყვიტეს.

მხოლოდ შარშანწინ ეღირსათ აქ დარჩენილთ ირანში წასულიყვნენ და მონატრებული ახლობლები ენახათ, სულ ახლახანს იქიდანაც ჩამოვიდნენ — შვილებთან, დებთან, ძმებთან.

ერთი მათგანი ადრე ჩამოსახლებული რეზო მიქელაძის დედა გახლდათ, აშრაფ ონიკაშვილი.

პატარა ტანის, მრგვალსახიან ქალს ისეთი ვარდისფერი ლოყები და გადატკეცილი კანი აქვს, ვერც იფიქრებ, რომ სამოცდაშვიდი წლისაა. ეტყობა ძალიან გულიანი ქალია — თვალები სულ ულიმის და ისე გვისმენს, ლამის სულში ჩაგვიძვრინოს.

— შენი ამბავი უნდა დაწერონ, დედა, ჟურნალში, —ეუბნება შვილი.

— ჩემი ამბავი? — უკვირს აშრაფ დედიას (დედია ფერეიდანული ქართულით დეიდაა) და თანაც ეტყობა, ძალიან სიამოვნებს, — ჩონებური ნამაად (კარგად) არ ვიცი, როგორ გელაპარაკოთ?

მე დაგეხმარებით, პირდება რეზო.

ექვსი შვილი ყოლია აშრაფ დედიას. ერთი ვაჟი შარშან დაეღუპა ავარიაში, რეზო რომ ჩასულა სანახავად, იმის მერე... კიდევ კარგი, ცოცხალი მაინც ნახა. ახლა ბაიტა (პატარა) ბიჭთან ცხოვრობს. რამდენი შვილიშვილი ყავს? — ბევრი. როგორ ცხოვრობენ? — ნაამა, სურამე (ყველაფერი) გოქ, კარგი სახლი, კარგი ქონება. რეზო არ ენატრებოდა? — როგორ არა, ვტიროდი, ვტიროდი, სულ ვტიროდი; ეხლა რომ ნახა, დამშვიდდა? — ლამაზად არი, ნაამად

# მწარე სიმართლე იყიდება...

თურქეთი ახლა მოდაშია. ოღონდ თურქეთში მოხვდეს და ჩვენი ბევრი თანამემამულე არაფერს დაგიდევს. არც თავს ზოგავს და არც ფულს, არც ნაცნობ-მეგობრებს და, წარმოიდგინეთ, არც სინდის-ნამუსს.

თურქეთს დღეს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის სასწაულს უწოდებენ. ქამალ ათათურქის დაწყებული საქმე უნარიანად განაგრძეს მისმა მემკვიდრეებმა და ქვეყანა სიდუხჭირიდან გამოიყვანეს. მაგრამ საინტერესოა ვიკითხოთ: რისთვის, რა მიზნით გვინდა მაინცდამაინც თურქეთში და არა, ვთქვათ, საფრანგეთში წასვლა? იქნებ ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის უტყვი მოწმეების — შატბერდის, ოშკის, ოპიზის, პარხალის, ხახულის მონახულება მოგვენატრა, ან ანატოლიის ნახევარკუნძულზე გაბნეულ მოძმეებს გვინდა მივესიყვარულოთ? ვაი, რომ არა. და რისთვისაც იკლავს თავს მოგზაურობის ჟინით შეპყრობილი ჩვენი თანამემამულე, იმის მიხვედრას ტვინის ჭყლეტა არ სჭირდება: თურქეთი მისთვის ალებ-მიცემობის მშვენიერი ასპარეზია...

მწერალი დავით ერისთავი განა ქართველ კაცს იმისთვის არ დასცინოდა, ვაჭრობის მარიფათი არა აქვსო? მაშ რა მოხდა ამ ბოლო ხანს, რამ აიძულა „უმარიფათო“ ქართველი, რკინის ქალამნები ჩაეცვა და ისე შესულიყო ვაჭრობის ეშხში, რომ სინდის-ნამუსი გაეყიდა? ილიასი არ იყოს, აი,, ეს არის საჭირბოროტო და წყევლა-კრულვიანი საკითხავი... შეიარეთ ჩვენს გამოფხეკილ-გამოცარიელებულ მაღაზიებში, თვალი შეავლეთ შიშველ თაროებს, სამაგიეროდ, როგორი უხვი და თვალისმომჭრელია თურქეთიდან შემოტანილი საქონლით გაძეძგილი კომერციული მაღაზიები! მაგრამ ეს რომ მიზეზად არ გამოდგება?

თბილისში არის ერთი შენობა, რომლის წინ ყოველთვის მილეთის ხალხი ირევა. ამ შენობაშია მოთავსებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საპასპორტო და ვიზების განყოფილება, უფრო მოკლედ — ოვირი. ღმერთმა იცის, როგორ ახერხებენ მისი მუშაკები მოზღვავებული მოქალაქეების მიღება-გასტუმრებას. საქმე რომ გაიოლებულიყო, ოვირის სააგენტოები გაიხსნა თბილისსა და ქუთაისში. ამაოდ: რიგები მაინც არ მცირდება. ზოგჯერ საქმე იქამდე მიდის, სარფის საბაჟო ვეღარ აუდის ხალხის მიღება-გატარებას და საზღვარს კეტავენ. მაინც ამაოდ...

საოცარია, მაგრამ საქართველოდან მსოფლიოს ქვეყნებში მიწვევით წასვლის მსურველთა საერთო რიცხვის 80 პროცენტი თურქეთზე მოდის. შარშან სულ 240 ათასი პასპორტი გაიცა, აქედან 170 ათასი — თურქეთში წამსვლელებზე. მარტო თურქეთში 70 ათასი მანეთის ვალუტა გავიდა (სანაცვლოდ შემოვიდა ჭინჭები, რომლითაც კომერციული მაღაზიები აივსო).

მარტო აქეთ რომ მოჰქონდეთ, რაღა გვიჭირდა. უბედურება ისაა, აქედანაც გააქვთ. თანაც, რომ იტყვიან, უკანასკნელ ლუკმას გვაცლიან პირიდან. ლურსმანი, ჩაქუჩი, გაზი, ცული, ნაძგალი, ქლიბი, რეზინის ჩექმები, ნათურები, ანჯამები, საკეტები, სათამაშოები, ელექტრობურღები, ელექტროხერხები, ყავადანები, დუქარდები, თაფლი, ხიორი, ლობიო... კი არა, თურმე ნახმარი, ოღონდ საგულდაგულოდ გაკრიალებულ-გატკიცინებულ ტანსაცმელსაც კარგი მაზანდა ჰქონია იქით...

ახლა იმის დროც მოვიდა, ვიკითხოთ, უფრო მეტად ვინ იკლავს თავს თურქეთისათვის. ამ ცოტა ხნის წინათ ემიგრაციის პროცესთან დაკავშირებით გამოკითხვა მოუწყვია რესპუბლიკის სოციალური პროცესების მართვის ცენტრს. 500 გამოკითხულიდან უცხოეთში წასვლის სურვილი განაცხადა 60 პროცენტმა. მართალია, მათ შორის არიან რუსებიც, სომხებიც, ბერძნებიც, მაგრამ „პოტენციურ ემიგრანტთა“ 6 პროცენტი ქართველია.

ყველაზე დრამატული ის არის, რომ იმ 500 რესპოდენტიდან 52,5 პროცენტი ქალი იყო.

ისინი იმისთვის კი არ იკლავენ თავს, თავიანთი შრომითა და გარჯით აქ, მამა-პაპათა მიწაზე დაამკვიდრონ და მოიპოვონ სასურველი ცხოვრება, არამედ იქ, უცხოეთში სურთ მზამზარეული, ლანგრით

# ყოლას გვირჩევნია“

ცხოვრობს (მწუხარება წამსვე ეშლება სახიდან).

ზის აშრაფ დედია — პატარა ქალი დიდ სავარძელში. გარს შვილრძალი, შვილიშვილები და ნათესავები ახვევია, წამისწამ გვიჩოჩებს სპარსული ტკბილეულით დაზვინულ სინს და ძალიან ეტყობა, რომ უკვე ვუყვარვართ.

— თქვენ მარტყოფელი ხართ, აშრაფ დედია?

არა. ვაშლოვანიდან გამოთხოვილა მარტყოფში. ონიკაშვილი ყოფილა გვარად, იქ კი გოჩელაანთ ეძახიან თურმე. რამდენი წლისა გათხოვდა? — ხუთმეტის, მარჯაკალი მოვიდა და... სულ ასე თხოვდებიან თურმე— თხუთმეტ-თექვსმეტისანი, თორე მერე გოგო ბერდება.

— ჩონთანაც (ვაშლოვანს გულისხმობს) — ჩონობური უნდა ყველას ცოლათ.

— სპარსელებსაც?

— ფარსებსაცო, დედა?

— მაშ!

— ადრე სპარსელს არ აძლევდნენ ქართველ ქალს ცოლად. ეხლა ისე ძალიან აღარ აქცევენ ამას ყურადღებას. რადიომ, ტელევიზიამ თავისი ჰქნა. თანამედროვე ცხოვრება თანდათან ითრევს თავისი სიავკარგით ფერეიდანელ ქართველსაც. ბევრი გადასახლდა ქალაქში, ნასწავლი ხალხი სოფელს აღარ უბრუნდება. ცხოვრობენ თეირანის, ისფაჰანის პრესტიჟულ უბნებში. ახლა ძალიან ბევრი ქართველია ირანში. უმრავლესობა შეძლებულად ცხოვრობს, — ამას რეზო გვიყვება, მისი შვილი.

— წყრან, წყრან უთხარ, დაწერონ, — წუხს აშრაფ დედია...

რამდენიმე დღის შემდეგ კიდევ შევხვდი აშრაფ დედიას. ქალთა საბჭომ შეხვედრა მოუწყო ფერეიდანელ ქალებს და ისიც ჩაის სახლში მივიყვანეთ მანქანით.

გზაში ყველაფერს გაფაციცებით აკვირდებოდა — ნამა — ნამა სახლებია, — იძახდა ხშირად, ჩვენი გახარება ეწადა. ჩაის სახლში გამოჩენილი ქალები — მწერლები, მსახიობები ეფერებოდნენ, თავს ევლებოდნენ აშრაფ დედიას და იქ შეკრებილ ფერეიდანელ ქალებს.

მედეა ჩახავა ჩამოჯდა ჩვენს მაგიდასთან.

— აი, დედა, ეს კინოში ფარსებს ებრძოდა, — აუხსნა რძალმა.

— მერე იმათმა მომკლეს! — დაამატა ღიმილით ქალბატონმა მედეამ.

აშრაფ დედიამ ლოყაზე ხელი მიიდო და თავი მწუხარედ გადააქნია...

გამომშვიდობებისას ასე მითხრა:

— რაისთ არ მოხვალ მალი-მალ ჩვენკენ, რაგთენი ხანია, გელოდით— ქართველები მიხარია, იმისთი, რომ ნამა ამბები გუამბოთ. წავიდე, ვიტყვი ჩონებთან.

ვერ-კი ვუამბეთ კარგი ამბები აშრაფ დედიას, მაგრამ ვიცი წავა, „ჩონებთან“ და მხოლოდ კარგს მოუყვება — ჩონი საქართველო ყოლას გვირჩევნია, თოლებჩი ჩუგუვარდეს, ხელს არ ამოვისობთ, — ასე მითხრა, გულამოჯდომით...

**მანანა ზარიძე**

# ქართული პატიოსნება

მარომეული მდიდრულად ცხოვრება.

ის კი ავიწყდებათ, რომ მუქთად არც იქ, უცხოეთში იძლევიან რაიმეს.

ოვირში ვერავინ გვიპასუხა, თურქეთში წამსვლელთაგან ვინ ჭარბობს, მამაკაცი თუ ქალი. არც ანომალური მოვლენებია აღრიცხული. ხალხში კი იმაზე უარესი ხმები დადის, ვიდრე ვაჭრობა, ალებ-მიცემობაა. როგორც ირწმუნებიან, არსებობს 100 თუ 150 ქალბატონის სია, ვინც თურქეთში მარტო ჭინჭების კი არა, დოლარების საშოვნელადაც დადის. აქედან წაღებით არაფერი მიაქვთ. გარდა... საკუთარი სხეულისა. დიდი მოთხოვნილება ყოფილა მათზე —ღამეში 100 დოლარს და მეტსაც უხდიანო. ქვეყანაზე რა იმალება, რომ ეს უკეთურობა დაიმალოს. ერთი-ორი ისეთი გვარი დამისახელეს, თვალები შუბლზე ამივიდა!

უფრო დიდი უბედურება ის გახლავთ, მანდილოსნებს საზღვარსიქიდან დოლარებთან ერთად „ამურის საჩუქრებიც“ უხვად გადმოაქვთ.

ამაოდ გვევედრებიან ბედის უკუღმართობით უცხოეთში ჩარჩენილი ქართველები — ნუ გვარცხვენთ, სინდის-ნამუსს დოლარებზე ნუ ახურდავებთო.

„ვინც რა უნდა თქვასო, წისქვილმა კი ფქვასო“, — ბევრ ქალბატონს მაინც თურქეთისკენ უჭირავს თვალი და ამისათვის არავითარ საშუალებას არ ერიდება. აი, ამასწინათ თბილისის ერთ-ერთი რაიონის მილიციის განყოფილებას ორმა ქალბატონმა — ლუდმილა ლ-ძემ და მზევინარ ლ-შვილმა მიაკითხა — უცხოეთში გამგზავრებაში დახმარებისათვის ერთმა ყალთაბანდმა 9.000 და 9.400 მანეთი დაგვტყუაო. მილიციის მუშაკებმა დააკავეს კიდეც ეჭვმიტანილი ვაჟა მინდორაშვილი, მაგრამ ამით, ვითომ ისწავლის ვინმე ჭკუას?

არც სარფში სხედან გულზე ხელდაკრეფილნი. იქაც არიან „ყოჩაღი“ ბიჭები. ნოემბერში აქ დააკავეს ქობულეთელები თამაზ ცენტერაძე, ნუკრი და ოლეგ გოგმაჩაძეები, ხელვაჩაურელი ნუგზარ ხელიძე, რომელთაც ვორკუტელ ტურისტებს საზღვარზე ურიგოდ გადაყვანის საფასურად ხუთი ათასი მანეთი მოსთხოვეს.

— დიდხანს გაგრძელდება თურქეთის ბუმი? — ვკითხე ამას წინათ ოვირის უფროსს ბატონ გივი ინჯიას.

— დიდხანს აღარ. თურქეთის „თაყვანისმცემლები“ მალე, ალბათ, საბერძნეთს ამჯობინებენ...

ღმერთო, ნუთუ ახლა საბერძნეთში უნდა მოგვეჭრას თავი!.. არადა, სად არის იმის გარანტი, რომ ჩვენი „მადონები“ თურქეთში შეძენილი „გამოცდილებით“ საბერძნეთშიც არ გვასახელებენ?

* * *

არც თუ დიდი ხნის წინათ, მდინარე ჭოროხი შლაგბაუმით იყო გადაკეტილი. ყველას და ყველაფერს საგულდაგულოდ სინჯავდნენ ქერა ჯარისკაცები. ზონის შიგნით მცხოვრებთ პირადობის მოწმობაც შველოდათ, ხელვაჩაურელ კაცს კი სპეციალური საშვი უნდა ჰქონოდა. უამსაშვოდ ხიდზე ჩიტიც ვერ გადაფრინდებოდა. აქაურები, ეტყობა, მიჩვეული იყვნენ ამ ცერემონიალს, თორემ ამაზე დიდი დამცირება რაღა გინდა: შენს სამკვიდროზე, შენს მიწა-წყალზე თითოეულ ნაბიჯს გიმოწმებენ, თანაც, შენიანები კი არა, გადამთიელები, აქაოდა აქედან ოთხიოდე კილომეტრზე სახელმწიფო საზღვარიაო...

ახლა ჭოროხზე შლაგბაუმი გაუქმებულია. სარფისაკენ მიმავალი გზა ტრანსპორტს აუვსია. მიდიან ავტობუსები და მსუბუქი ავტომანქანები. მიაქვთ გაძეძგილი საბარგულები. ეტყობა, ჩვენს გამოფხეკილ მაღაზიებსა თუ საწყობებში ჯერ კიდევ მოიძევება თურქეთისათვის საინტერესო საქონელი...

ნეტავი შეგახედათ, როგორ ამაყად მოუღერებიათ ყელი ჩვენ ქალბატონებს — რამხელა ამბავია — უცხოეთში მიდიან! მაგრამ აი, გასცილდებიან თუ არა კირკიტა მებაჟეებს, გადავლენ თუ არა მიწის ამ პატარა ნაჭერს, სადღაც გაქრება ეს მედიდურობა. ვინ ნახმარი პერანგის ფრიალით მიიქცევს ირონიულად მოღიმარე მასპინძლების ყურადღებას, ვინ — ფეხმოების საეჭვო რხევით...

აქაც ნაჭერ-ნაჭერ, ნამცეც-ნამცეც ჰყიდიან საქართველოს...

**ელგუჯა ლეგანიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრაქტიკუმი

## მასაჟები ჩვილთათვის

მასაჟები დიდი სიამოვნებაა ჩვილისათვის, რომელიც თითქმის გაუნძრევლად წევს საწოლში. ისინი კუნთებს უმაგრებს ბავშვს და დაძაბულობას უხსნის.

მასაჟების კეთება ბავშვის დაბადებიდან ერთი თვის თავზე შეიძლება დავიწყოთ და ექვს თვემდე გავაგრძელოთ. მასაჟისათვის საუკეთესო დრო დილა ან სალამოა. საუკეთესო მომენტი ბანაობის წინა წუთებია. ბანაობის შემდეგ მასაჟი არ შეიძლება. ოთახში, სადაც პატარას მასაჟს უკეთებთ სასიამოვნო ტემპერატურა უნდა იყოს. არასოდეს დააწვინოთ ბავშვი მასაჟისთვის ზედმეტად მაგარ ზედაპირზე. უმჯობესია ქვემოთ თხელი ბალიში ან თხელი საბანი დავუგოთ. ისიც გაითვალისწინეთ, რომ მიშველი ბავშვები ხშირად ისველებენ.

მასაჟი ასეთი თანამიმდევრობით უნდა ჩავატაროთ: მკერდი, ხელები, მუცელი, ფეხები და ბოლოს ზურგი. თუ ბავშვი დაღლილია ან განერვიულებულია, უმჯობესია მასაჟი ფეხებიდან დავიწყოთ, შემდეგ მკერდზე, მუცელზე და ზურგზე გავუკეთოთ.

ყოველი მოძრაობა ორ-სამჯერ გაიმეორეთ. მასაჟების ხანგრძლივობა ათი წუთიდან დაიწყეთ და დროთა განმავლობაში ნახევარ საათამდე გაზარდეთ.

მაშ ასე, ბავშვი მოხერხებულად დააწვინეთ წინასწარგამზადებულ თხელ საბანზე და დაიწყეთ:

1. მკერდის მასაჟი: დაადეთ ხელები პატარას მკერდის შუაგულში და გვერდებისაკენ გააცურეთ ისე, თითქოს გადაშლილი წიგნი გედოთ და ფურცლების გასწორებას ცდილობთ. შემდეგ მარჯვენა ხელი დაადეთ მარცხენა ნეკნებთან და დიაგონალზე აასრიალეთ მარჯვენა მხარამდე. გაიმეორეთ იგივე მოძრაობა მარცხენა ხელით — მარჯვენა ნეკნებიდან.

2. მუცლის მასაჟი: ამ მასაჟის დროს თქვენმა ხელებმა რიგრიგობით უნდა იმოძრაონ. მასაჟი იწყება მკერდიდან და მუცლის ქვემოთ მთავრდება. ხელები რიგრიგობით დააწყვეთ ბავშვის მკერდზე და ტალღისებური მოძრაობით ჩააცურეთ ქვემოთ.

3. ფეხების და ტერფების მასაჟი: ცალი ხელით ბავშვის ფეხი დაიჭირეთ: მეორე ხელის საჩვენებელი და ცერა თითები შემოაჭდეთ მის ბარძაყს, ნელა დააწექით მის ტერფს და ფეხი მოალუნიეთ. შემდეგ ფეხი გამოცვალეთ. ეს ვარჯიში გაიმეორეთ რამდენჯერმე. შემდეგ ტერფზე დააჭირეთ რამდენიმეჯერ ცერა თითი და ხელის გული მოუსვით.

4. მკლავების მასაჟი: ხელები პარალელურად დააწყვეთ ბავშვის მხრებზე და ნელ-ნელა

ახალგაზრდა ქალის ენციკლოპედია

# მოერიდეთ უკიდურესობებს

სამშობიაროდან გამოსულ ყველა დედას ერთნაირი პრობლემები აწუხებს. გაითვალისწინეთ ცნობილი პედაგოგებისა და ექიმების რჩევები და ეცადეთ გაიადვილოთ ცხოვრება.

ნუ ესწრაფვით კვების მკაცრი რეჟიმის დაცვას, — გვირჩევს დოქტორი სპოკი, — ყურადღებით დააკვირდით ახალშობილს და ის თვითონ დაადგენს სათანადო რეჟიმს. საერთოდ, 10 კვირის ნორმალური ბავშვი დღეში ოთხჯერ ჭამს. მაგრამ ეს წესი არ გამოდგება ნერვიული ბავშვებისათვის, რომლებიც ხშირად იღვიძებენ და ტირიან. სავალდებულო სულაც არ არის ტირილის მიზეზი შიმშილი იყოს. შესაძლოა ახალშობილს აწუხებდეს გაზები, სველი საფენები, დიათეზი ან სხვა რამ. მშობლები კი ატირებულ ბავშვს იმ წუთში ბოთლს ჩრიან პირში. აი, აქ არის საჭირო რეჟიმის დაცვა, მაგრამ არც მეორე უკიდურესობაში უნდა გადავარდეთ — თუ ჩვილს სძინავს, ჭამისთვის ნუ გააღვიძებთ. თუ დროზე ადრე გაიღვიძა, საკვებიც დროზე ადრე მიეცით.

თუ ბავშვს ძუძუთი კვებავთ, ეცადეთ ჭამამდე ათი წუთით ადრე მიიღოთ რაიმე სითხე, უმჯობესია ერთი ჭიქა რძიანი ჩაი.

მატყუარა საწოვარას ხმარების ნუ შეგეშინდებათ, მაგრამ ბავშვს ძალიანაც ნუ გაათამამებთ. საწოვარა ძილის მაუწყებელი სიგნალი უნდა იყოს, როგორც კი პატარა დაიძინებს, საწოვარა მაშინვე გამოართვით, რათა ბავშვი არ მიეჩვიოს საწოვარათი ძილს, თორემ შემდეგ მისი გამოღვიძებისთანავე გაიღვიძებს.

ცნობილია, რომ პედაგოგ ნიკიტინების ბავშვები ძლიერი დიათეზით იტანჯებოდნენ. პროფესორ არშევსკის რჩევით მეშვიდე გოგონა დედას დაბადებიდან ორი საათის შემდეგ მიუყვანეს და მაშინვე მოაწოვეს ძუძუ. პირველივე საათებში მიცემულმა საკვებმა ბავშვი დიათეზს გადაარჩინა.

ჩვილის ხასიათი და თქვენდამი დამოკიდებულება მისი სიცოცხლის პირველსავე დღეებში ყალიბდება. როდესაც ბავშვი თავს ცუდად გრძნობს, იყავით მასთან. გახსოვდეთ! ახალშობილს საოცრად ეშინია სიმარტოვის..ფართო საწოლი მისთვის უცხო და მიუსაფარია. ამიტომ მუთაქები ან დახვეული რბილი ადეალები და პირსახოცები გარშემო შემოუწყვეთ თქვენს პატარას. ეს განსაკუთრებით საჭიროა ნერვიული და მშიშარა ბავშვებისათვის. შეიძლება თბილა სათბურიც კი მიუდოთ ბავშვს, რათა მას მარტოობის და მოუსვენრობის გრძნობა არ გაუჩნდეს. და ნუ იჩქარებთ ახალშობილის გამოწრთობას, სასეირნოდ გაყვანას და ქუჩაში დაძინებას.

### რამდენ ხანს უნდა ეძინოს ბავშვს

1-2 თვისას — 18-20 საათი
3-4 თვისას — 18-19 საათი
5-6 თვისას — 16-17 საათი
7-9 თვისას — 15-16 საათი
10-12 თვისას — 14-15 საათი
1-1,5 წლისას — 14-14,5 საათი
1,5-2,5 წლისას — 13-14 საათი
2,5-3,5 წლისას — 12-13 საათი
4-5 წლისას — 11-12 საათი
6-9 წლისას — 10-11 საათი
10-12 წლისას — 9-11 საათი
13-15 წლისას — 8-9 საათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მშობლებისათვის

ჩაასურეთ მკლავებზე. ბავშვის ხელები ტანს დააშორეთ და ცერა თითით მუჭი გააშლევინეთ.

5. ზურგის მასაჟი: დააწვინეთ ბავშვი მუცელზე და რიგრიგობით ჩაასურეთ ხელები მისი კეფიდან საჯდომამდე.

6. მხრების მასაჟი: მუცელზე დაწოლილ ბავშვს მხრებზე გაშლილი ხელისგული დაადეთ და რიგრიგობით დააჭირეთ თითები და ხელისგული.

7. ხერხემლის მასაჟი: მარჯვენა ხელი ბავშვს მიაჭირეთ დუნდულებზე, მარცხენა ჩაასურეთ კეფიდან. შემდეგ ორივე ხელი დაადეთ ფილტვებთან და რიგრიგობით ჩაასურეთ საჯდომამდე.

8. კოჭის მასაჟი: დაუჭირეთ ბავშვს ორივე კოჭი, მეორე ხელი ჩაასურეთ კეფიდან კოჭამდე.

9. საჯდომის მასაჟი: ორივე ხელი დაადეთ ბავშვს დუნდულებზე და ცერა თითით ჩაუტარეთ მასაჟი ქვემოდან კუდუსუნამდე.















# პოეზია

ეკა ბაქრაძე — საოცრებად აღიარებული პოეტი ბავშვი — სიჭაბუკის ზღურბლზე დგას — ახლახან 16 წლის გახდა. ქალიშვილი წლეულს ამთავრებს სკოლას.

როგორ დაიწერება მისი პოეტური ბიოგრაფია, საით უხმობენ ცისფერი გზები? ეს ყოველივე მომავალშია და ჩვენ გვინდა ეს მომავალი კიდევ უფრო ბრწყინვალე იყოს, ვიდრე მისი საოცარი ხილვებით სავსე, ყველასგან გამორჩეული ბავშვობა იყო. „საქართველოს ქალი" ულოცავს ეკას ამ მშვენიერ „იუბილეს" და ჰპირდება ყოველ მის „მრგვალ" საიუბილეო თარიღს ჟურნალის გვერდი დაუთმოს.

**ეკა ბაქრაძე**

### მონოლოგი

ერთ მშვენიერ დღეს აღმოვაჩენ, რომ...
მაგრამ სულაც არ იქნება ის დღე
მშვენიერი...
არც ერთი და არც მრავალი იმათგანი,
მსგავს აღმოჩენით რომ გამაოცებს.
მანამ კი... ასე დათქმულივით
მოხვალ ხოლმე
ჩემი სულის მზიან ნაპირზე...
შენი ბრალია...
მაშინაც შენი წყალობით იყო,
ახლაც შენი გამოისობით...
და იქნებ ისიც, გაურკვეველი
წინათგრძნობა
რასაც გულისხმობს,
შენ უნდა ახსნა
მხოლოდ და მხოლოდ!
— ვინ ხარ შენ?!
ასეთი ყოვლისმომცველი და უხილავი...
ასეთი ბუნდოვანი და უცხო.
ერთ მშვენიერ დღეს
მეც შემაშფოთებს ყოველივე
ამაზე ფიქრი,
ერთ მშვენიერ დღეს...
ბოლოს და ბოლოს
სახელს გიწოდებ
და უკვე დასმულ
კითხვასავით გაგიმეორებ
წარსულის და
მომავლის ფიქრებს...
მაგრამ იქნება კი
ის დღე მშვენიერი?!



* * *

რა საჭიროა...
ბოლოს და ბოლოს,
ყველაფერი დარჩეს ისე,
როგორც არის!
ნურაფერს მეტყვი,
რა საჭიროა?..
ასე აჯობებს...
სხვა რომ არა,
როგორ უნდა შეველიო
ამდენი წვის და დაგვის შემდეგ
გაჩენილ იმედს,
არც თუ ისე უსაშველოს
და შეუძლებელს
გთხოვენ მგონია...
მითუმეტეს,
როცა იცი, რომ
ისეთს მაინც ვერაფერს მეტყვი,
რა საჭიროა?!
მოდი, დარჩეს ყველაფერი
ისევ ისე,
როგორც იყო
ღმერთად მოსვლამდე!

* * *

როცა იმედი
ნაცემ ძაღლივით
ილოკავს თათს და
ტკივილს იურვებს,
როცა პირში ჩალაგამოვლებ-ელს,
ყოველივეს მიუხედავად,
მაინც გჯერა,
რომ ტკივილიც მოშუშდება
ბოლოს და ბოლოს,
რომ ყოველივეს ეშველება
სიკვდილის გარდა...
და ყველაფერი მაინც ასე
უსაშველოდ, ულვთოდ ყოვნდება,
როცა იმედიც
უიმედობის საფუძველს იტევს...
როგორმე უნდა გააღწიო,
როგორმე უნდა გაინაპირო,
საგულდაგულოდ მოიძიო
ძალი დათმენის,
სიმშვიდის და უნაპირობის,
რომ საკუთარი სულის წიაღ
გამრთელდე ისევ..
და ყოველივე,
რაც ქარტეხილებს გამოატარე,
რაც შენს ძარღვებში
ისევ ხმიანებს,
ბობოქრობს და
ესოდენ ურჩობს,
ხვალინდელ დღეს გადაურჩინო,
რათა ისევ აღსდგე ფერფლიდან,
და სული შენი მიუბოძო —
რასაც ეგების,
რომ არ შეყოვნდეს,
არ შეიბღალოს
ერის ძარღვებში
მფეთქავი გენი,
უნდა გაფრთხილდე,
უნდა მოზომო,
უნდა დაზოგო
გულისთქმა შენი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

რამდენი ჭირი
და სატკივარი,
სენი და ავადი
შეუქმნიათ
ღმერთებს
მიწაზე საპარპაშოდ....
რამდენი რამეა,
გამწირავი,
კაცის მომსპობი
და საგანგაშო..
ხან რა სუსტი
ხარ და დაუცველი,
თან რა ძლიერი
და ხანმედეგი,
სიცოცხლევ,
ვინ რას
მიგიხვდება,
რამდენ განსაცდელს
გაუძლი,
რამდენის
დათმობაც მოგიხდება...
ავადმყოფობა
და სნეულება,
საფრთხე და
უთვალავი განსაცდელი
სულის და
ხორცის მომწყვლელია,
ქვეყნად ერთია
ჯანმრთელობა,
ღმერთიც ერთია
და მოწყალეა,
სატკივარს
არ უნდა
გაუჩუმდე,
„სიკვდილისა
სიკვდილითა დამთრგუნველო"
სიცოცხლეც
შენს თბილ
უბეშია,
დრო —
უებარი წამალია,
რწმენა
ერთადერთი ნუგეშია!

* * *

მე მონატრების თბილი სევდა
მომიყვანს თქვენთან,
ასე საოცრად ახლობელი
მიწის ძახილი...
და რა თქმა უნდა,
ვიქნებით ერთად
ყველა მართალი
კაცის სახელით,
მე დამამშვიდებს
ამ ცისა და
მიწის სინაზე,
და გაგახსენებთ
რაც ესოდენ
გაკრთობდათ წინათ,
და დაწყვეტილი
სულის სიმებზე
დაგედინებით
ნუგეშის წვიმად.

## მშვენიერი მანდილოსნები

# ქალიშვილი ვერის უბნიდან



იოსებ ჩარკვიანი აჭარის პირველი დამსახურებული ექიმი და არაჩვეულებრივი პიროვნება გახლდათ. ვინ მოსთვლის, რამდენი ოჯახი გაახარა მშობიარისა და ბავშვის გადარჩენით. მთიანი სოფლებიდანაც ჩამოდიოდნენ მასთან მომავალი დედები. ზოგჯერ თავის ბინაშიც კი მოუთავსებია ისინი, საავადმყოფოში უადგილობის გამო.

კაცთმოყვარეობის მაგალითზე იზრდებოდნენ ბატონი იოსების ვაჟები — ლევანი და ოთარი. ლევან ჩარკვიანს, პროფესორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, მამისგან მადლიანი მარჯვენა გამოჰყვა, ოთარ ჩარკვიანმა, ინჟინერ — მშენებელმა მშობლიურ აჭარას დიდი ამაგი დასდო.

სწორედ ამ ოჯახში შევიდა ოთარის მეუღლე, 17 წლის მერი ჯაფარიძე. მისმა სილამაზემ და სულის სიმაღლემ მოხიბლა ყველანი. ერთ წელიწადში ვაჟის დედა გახდა, მერე — გოგონასი. სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ოტოლარინგოლოგად დაიწყო მუშაობა ბათუმში. თან ყვებოდა ნაოპერაციებ ავადმყოფებს. სადილი მიჰქონდა მათთვის, ვისაც არავინ აკითხავდა, ყიდულობდა დეფიციტურ წამლებს, გასამგზავრებელ ფულსაც უდებდა ჯიბეში. და როგორც ხდება ხოლმე, უძღვნიდნენ ლექსებს, მადლობის წერილებს. ასე როდემდე გაძლებო, — ეუბნებოდნენ კოლეგები. ასე გაგრძელდა, სანამ პოლიკლინიკაში არ გადავიდა სამუშაოდ. აქაც უამრავმა პაციენტმა მოაკითხა მერი ჩარკვიანს.

დღეს ქალბატონი მერი კვლავ ემსახურება აჭარლებს როგორც ექიმი-კონსულტანტი.

ორმოცი წელია ბათუმში ცხოვრობს. უყვარს ქათქათა ქალაქი, სადაც გაიზარდნენ მისი შვილები. თბილისი კი მაინც ყველაფერს ურჩევნია...

წინათ ზემო ვერას, — ბელინსკის ქუჩას ალამაზებდა სევდიანი გოგონა, რომელიც უმამოდ იზრდებოდა. რეპრესიების წლები იყო. ბავშვთან მამაზე იშვიათად ლაპარაკობდნენ. როცა გაიგო, მისი დახვრეტის ამბავი, მიხვდა, რატომ იყო მუდამ მოწყენილი დედა. დედა-შვილი მეგობართა წრემ გადაარჩინა. მხატვარ ელენე ახვლედიანის ოჯახში ისინი იღებდნენ სულიერ საზრდოს. დედას სხვაც ბევრი ჰყავდა გულშემატკივარი. დაქალიშვილდა გოგონა და ქალაქის მშვენება გახდა.

მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობდა, მაგრამ ბედმა ინება და შეეცვალა ცხოვრება, თბილისში გადმოვიდა სასწავლებლად. ოპერის პირდაპირ, რუსთაველზე ჰქონდა ბინა, ოთახში ჭადრები იმზირებოდნენ, დილით მერცხლები აღვიძებდნენ. რა ბედნიერი იყო მაშინ თბილისი!

ახლა კი... ეძნელება დაჭრილი მეგობრის ნახვა — გადამწვარმა რუსთაველმა წაიღო მისი სიცოცხლის ნაწილი. და როგორადაც არ უნდა აღადგინონ, გაალამაზონ, მაინც ძველი პროსპექტი ერჩია, რომელსაც ვერავინ დაუბრუნებს.

**ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჟაკარდული ქსოვა

ფრანგი მექანიკოსის ჟოზეფ მარი ჟაკარდის შესანიშნავი გამოგონების წყალობით მე-18 საუკუნიდან მოდის ჟაკარდული ქსოვის ტექნიკა. ამ ბოლო დროს კვლავ შემოვიდა მოდაში ჟაკარდული ქსოვა, რომელიც ძირითადად მანქანაზე სრულდება, მაგრამ ნებისყოფიან ქალებს არც ხელით უჭირთ მისი შესრულება. ჟაკარდული ქსოვა არც ისე ადვილია. იგი იქსოვება ძირითადად წინდური ქსოვით. ქსოვის დროს აუცილებელია მაქსიმალური გულისყური, დაკვირვება ყოველ რიგსა და ყოველ თვალზე.

გთავაზობთ ჟაკარდული ქსოვის რამდენიმე ნიმუშს. ფერები შეგიძლიათ სურვილისამებრ შეარჩიოთ.

**სვიტრი აბსტრაქტული ორნამენტით**

ზომა 46-48

შალის ლურჯი მსხვილი ნართი 400 გრ.

შალის თეთრი მსხვილი ნართი 150 გრ.

ჩხირები № 3

ქსოვის სახე: წინდური რეზინი 1X1

ზურგი. 80 თვალით მოქსოვეთ 10 სმ რეზინით 1X1. შემდეგ ერთ გავლაზე გაზარდეთ თვლების რაოდენობა 140-მდე. მოქსოვეთ 70 სმ რეზინიანად სულ სწორად (იღლიის ჭრილის გარეშე) წინდური ქსოვით. ლურჯ ფონზე ჩააქსოვეთ ორნამენტები.

ორივე კალთა ერთნაირად იქსოვება, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ წინ ამოილებთ საყელოს რკალს შემდეგნაირად: შუაში (ორივე ნაპირიდან თვლების ერთიდაიგივე რაოდენობა უნდა დარჩეს) ერთ გავლაზე დახურავთ 20 თვალს, შემდეგ 5, 3, 2 და სანამ უკანა კალთას არ გაუტოლდება. ასევე მოქსოვთ მეორე მხარეს, გაკერეთ მხრები. გვერდებს ჯერ არ ჩაკერავთ.

სახელო. გვერდის ნაწიბურზე ბოლოდან 45-ე სმ-ზე ამოკრიფეთ თვლები სახელოსათვის. მეორე რიგზე უმატეთ ყოველი 3 თვალის შემდეგ და მოქსოვეთ სახელო გვერდებზე თანდათანობითი კლებით, სანამ 50 თვალი არ დაგრჩებათ. მანჟეტისათვის დატოვეთ 40 თვალი და რეზინი 1X1. სახელოს სიგრძე საყელოდან 75 სმ-ია.

საყელოსთვის ამოკრიფეთ 90 თვალი და მოქსოვეთ 3 სმ სიმაღლის საყელო წალმა ქსოვით (წინდურად) ორმაგი ქობით.

საბოლოოდ ნაქსოვი გააუთოვეთ და შეკერეთ.

ლატავრა თეთრაული





ეროვნული ბიბლიოთეკა





ფოტომოდელები: ბია ჩახვაშვილი
ნათია გვასალია

## იუმორი

### რევმატიზმი და ფორტეპიანო

ორ ახალგაზრდა ექიმს ლამაზი ქალი შემოხვდა. ერთმა მათგანმა თავი დაუკრა.

— შენი პაციენტია?

— კი.

— რას უჩივის?

— რევმატიზმს.

— მერე რა ურჩიე?

— ვურჩიე ფორტეპიანოზე დაკვრას მოეშვას.

— არ მესმის. რა საერთო აქვს ავადმყოფობას მუსიკასთან?

— სრულიად უბრალო! ეს ქალბატონი ჩემს სახლში ცხოვრობს ერთი სართულით მაღლა.

### არევა

— მისმინეთ, ჩემო ძვირფასო, — უთხრა დირიჟორმა და ჯოხი პულტზე დააკაკუნა. — ნუ გავიწყდებათ, რომ თქვენ ტორეადორის პარტიას მღერით და არა ხარისას.

თარგმნა შოთა ამირანაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თეოდორა—მელია

ჰონდურასი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი ცოლ-ქმარი, კაცი მთელი დღე ყანაში მუშაობდა და არც კი იცოდა, რომ მისი ცოლი — თეოდორა ალქაჯი იყო.

ცოლ-ქმარი ძალიან ღარიბად ცხოვრობდა, მაგრამ მათ სამზარეულოში მაინც ყოველთვის გემრიელი კერძები მზადდებოდა. ქმარს უკვირდა ეს ამბავი და თეოდორას კითხვებით არ ასვენებდა, ის კი პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა, ხან ეუბნებოდა ბაზარში ვიყიდეო, ხან მეგობრებმა მიწილადესო. ერთ დღეს დაეჭვებულმა ქმარმა, გადაწყვიტა ეთვალთვალა ცოლისათვის, თავი მოიმძინარა და ცდა დაიწყო. შუაღამეზე თეოდორა წამოდგა, გაურკვეველ ბუტბუტს მოჰყვა, სამჯერ მარცხნივ დატრიალდა, სამჯერ — მარჯვნივ, მელიად იქცა და სახლიდან გაიძურწა.

მეორე დღეს მათ სამზარეულოში გოჭი, წიწილა და ქათამი იბრაწებოდა, თეოდორა კი ისევ დუმდა. მიხვდა საცოდავი გლეხი, რომ მელიად ქცეული მისი ცოლი მეზობლებს ჰპარავდა ფრინველებს, გაიქცა სოფლის მღვდელთან და ყველაფერი უამბო. მღვდელმა ნაკურთხი წყალი გაატანა და დაარიგა, ღამის ნადირობიდან მობრუნებული თეოდორასათვის ეპკურებია და თან წმინდა ლოცვა წარმოეთქვა, რომ მელიად ვერასოდეს გადაქცეულიყო.

გახარებული გლეხი სახლში გაიქცა და თეოდორას დაუწყო ლოდინი. ისე იყო დაბნეული საწყალი, ცოლს წყალი მაშინ შეასხა, როცა მხოლოდ ნახევრად იყო ადამიანად ქცეული. ნაკურთხმა წყალმა ჯადოქრობა შეაჩერა თეოდორა ვერც ადამიანად იქცა, ველარც მელიად და თავზარდაცემული გაიჭრა ტყეში, ამბობენ, ახლაც იქ ცხოვრობს და საზარლად ყმუისო.

ესპანურიდან თარგმნა თეა გვასალიამ



მხატვარი ცინარა ტერელაძე

# ორი ამბავი

ქართული ხალხური სიმღერა იშვიათი მოვლენაა მსოფლიოს მუსიკალურ კულტურაში. ამ ჭეშმარიტებაში საბოლოოდ დარწმუნდები, ხშირად ხალხურ სიმღერებს რომ მოისმენ, ჩვენი სიმღერებით აღფრთოვანებულ უცხოელ მსმენელებს რომ შეხვდები...

ორი ამბავი გამახსენა ქართულმა სიმღერამ — ერთი-ნაამბობი, მეორის მომსწრე კი თავად გახლდით.

ამ ოციოდე წლის წინათ, მეორე მსოფლიო ომის მონაწილემ, ტყვედ ნამყოფმა ქალბატონმა ფედოსი ხირბილაძემ მიამბო:

— გერმანელებმა გომურიდან უთენია გამოგვყარეს და დასავლეთისაკენ გვიპირებდნენ გარეკვას. ფაშისტებითა და ძაღლებით გარშემორტყმულნი, შიმშილისა და ტანჯვა-წამებისაგან გასავათებულები ძლივს მივლასლასებდით. უცბად სიმღერა შემოგვესმა: „სატივეზე ტივი შევკარ". კოლონა შედგა, შედგნენ გერმანელებიც, ძაღლებმა მიატოვეს ღრენა. ყველა გასუსული უსმენდა. ტყვეებს არაფრის მთქმელ თვალებში ცრემლი ჩაუდგათ. ყველა ცისკენ იყურებოდა, ალბათ ეს ღმერთთან მიახლოვება იყო. „ეს ის დათაშკა კავსაძეა, გოგო, სიკვდილმისჯილთა საკანში რომ ჰყავთ, — ჩამჩურჩულა მეგობარმა.



დავით კავსაძე

დავით კავსაძეს — ჩვენი იერი და კახი კავსაძის მამას, მე თვითონაც კარგად ვიცნობდი. შინაურულად დათაშკას ეძახდნენ. ძმები დათაშკა და გიგუშა — სანდრო კავსაძის ჩამომავლები იყვნენ. მათებრ „მეტივურს", საქართველოში დღესაც ვერავინ მღერის.

დათაშკას თავის მადლიანმა ხმამ დააღწევინა თავი ტყვეობიდან, მაგრამ რაღ გინდა: ჩვენებმა გადაასახლეს და აღარც ღირსებია სამშობლოში დაბრუნება.

ასე უკვალოდ დაიკარგა კარგი ქართველი, იშვიათი ნიჭის მქონე მომღერალი.



აბაშიძეების ოჯახი

მეორე ამბავს შარშან შევესწარი. თელავში შემთხვევით გავიცანი მიშა აბაშიძე, კახეთში ჩამოსახლებული იმერელი კაცი, საოცარი მომღერალი. ...ბინდდებოდა, მიშამ შუამთის მონასტრისაკენ რომ გაგვასეირნა. მშვენიერი საღამო იდგა. ტყეში ჩაყურსულ მონასტერს მთვარე დაჰნათოდა.

ჩვენი მასპინძელი მოწიწებით შევიდა მონასტერში და იქიდან ღვთის საგალობელი „შენ ხარ ვენახი" დაირხა. ამას მოჰყვა „ურმული", „ოროველა", „გაფრინდი, შავო მერცხალო".... ჩვენ სუნთქვაშეკრული ვუსმენდით და აღტაცებას ვერ ვფარავდით — რამდენიმე უცნობი მოგვიახლოვდა. თურმე ლიტველ გოგონებს ქართველი ვაჟი მეგზურობდა, სიმღერამ მოიყვანა ისინი ჩვენთან. გოგონებს თვალში ცრემლი შევნიშნე:

იმ ქართველმა ყმაწვილმა გვითხრა: — ქალიშვილებისათვის საქართველო მინდოდა გამეცნო და უკვე გავაცანიო და მიშას მოწიწებით შუბლზე ეამბორა...

მერე მიშას ოჯახიც გავიცანით: დედა — ქალბატონი სარა, მეუღლე — ლილი, ქალ-ვაჟი — ეკა და ზვიადი ერთიმეორეზე უკეთესად მღერიან. ქალბატონ სარას წინაპრები სიმღერით განთქმულნი ყოფილან. ლილის მამა კი ცნობილი მომღერალი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, შალვა ბადურაშვილი უკვე ოთხმოც წელსაა მიღწეული და ისე მღერის, მის მოსმენას არაფერი სჯობს. ამ ორი გვარის ჯიშმა და გენმა აბაშიძეების ოჯახში მოიყარა თავი.

ახლა, როცა ასე გვჭირდება სიმღერა და სიყვარული, აბაშიძეების ოჯახს მთელი საქართველო უნდა უსმენდეს.

ოლია დადიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი ხანია შენთან არ მოვსულვარ, ნაწყენი ხარ, ალბათ, დედა. მაპატიე, გევედრები. ცოტა ხნით შემოვირბინე, მეჩქარება ჩემს პატარასთან. ერთ წუთსაც ვერ ძლებს უჩემოდ, ისევე, როგორც მე ვერ ვძლებდი შენს გარეშე... აწი ხშირად მოვალ შენთან, ოღონდ შემირიგდი.

აქამდეც მოვიდოდი, მაგრამ ასე მეგონა, ჩემი გაბზარული ცხოვრებით შენს სულს ტკივილს მივაყენებდი. ნიტოფონსაც. მეზობლები კი ლაპარაკობდნენ თურმე, მალე გამოიგლოვა დედაო. ადვილია სხვისი განსჯა. ტახტზე მიყუჟული შენს სურათს მივაჩერდებოდი. ხსნას ისევ შენგან ველოდი, რამდენჯერ შიშით აკანკალებულს თეთრად გამითენებია, მაშინ გავიცანი გია, ჩემს მეგობართან ცხოვრობდა ქირით, „ცოლს გაცილდა და თბილისში ჩამოვიდა საცხოვრებლადო". — მითხრა ნანამ. მკრა გულში. — შეუძლებელია, შეუძლებელი".

სიხარულისაგან გაბრუებული დავაბიჯებდი ოთახიდან ოთახში. ადგილს ვერ ვპოულობდი. ნეტავი გოგო იყოს-მეთქი, ვნატრობდი. მინდოდა შენი სახელი დამერქმია. „თამუნია, თამრიკო", — ვეფერებოდი ჯერ არდაბადებულ ბავშვს. ბიჭი რომ იყოს, — გამიელვა უცებ. — მაშინ მამამისმა რაც უნდა, დაარქვას.



# ყველა კანონზე ძვირფასი

რამდენჯერ მინდოდა შენს საფლავთან დაჩოქილს პატიება მეთხოვა. ვერ ვბედავდი. დღესაც რომ არ მოვსულიყავი, მონატრება მომკლავდა ალბათ...

ჩემზე დარდით წახვედი ამ ქვეყნიდან. ისე გამზარდე, ცდილობდი, ცუდი ჩემს გულსა და გონებას არ გაკარებოდა. ჭკვიანი გოგო ხარ, თეთრისა და შავის გარჩევა არ გაგიჭირდებაო, მეტისმეტად თვალთმაქცი და დაუნდობელი ყოფილა ბედისწერა.

პირველ ხანებში ნათესავები მარტო არ მტოვებდნენ, შემდეგ და შემდეგ უკლეს სიარულს. რას იზამ, ყველას თავისი ოჯახი და საფიქრალ-საზრუნავი აქვს. მეგობრები ყოველდღე ჩემთან იკრიბებოდნენ. წასვლისას ხომ არ გეშინიაო, ისე, სხვათაშორის მკითხავდნენ და პასუხს არც ელოდებოდნენ, სწრაფად მიდიოდნენ. დღისით არა მიჭირდა რა, ჩემი ტანჯვა ღამით იწყებოდა. შენც ხომ იცი, — როგორ მეშინია სიბნელის, დედა...

ყველა ოთახში სინათლეს ვანთებდი, ტელევიზორს ჩავრთავდი, მაგ- გია უცებ დამიახლოვდა. ყურადღებას არ იშურებდა, რასაც მანამდე მოკლებული ვიყავი ჩემი გარეგნობის გამო. იმ დღის შემდეგ, ხშირად ვხვდებოდით ერთმანეთს. ერთხელ სახლამდე მიმაცილა. დიდხანს ვიდექით უხმოდ სადარბაზოში. „დავრჩები შენთან", — დაარღვია გიამ სიჩუმე... „დარჩი", ვუპასუხე დაუფიქრებლად. იმ დღიდან გია ჩემთან გადმოვიდა საცხოვრებლად.

ნათესავებმა საბაბი იპოვეს და საერთოდ ამოიკვეთეს ფეხი ჩვენი ოჯახიდან. მათთვის მე ცოლიან კაცს აკიდებული სულელი გოგო ვიყავი მხოლოდ. „არც მჭირდება არავინ", — ვფიქრობდი გიას სიყვარულით გათამამებული.

ასე გაიარა რამდენიმე თვემ, და ერთ დღეს...

დილიდან კარგ ხასიათზე ვიყავი. გია შინ არ იყო. „ღმერთო ჩემო", ნუთუ მართალია, — ვჩურჩულებდი ჩემთვის — ნეტა მალე მოვიდოდეს სახლში".

„რომ არ გაუხარდეს? — ეჭვმა გა-

გია გვიან დაბრუნდა შინ. ჩემი კარგი განწყობილება შეუმჩნეველი არ დარჩენია.

— მოხდა რამე? — მკითხა.

— რომ იცოდე, რა ბედნიერი ვარ, — და საიდუმლო გავუმხილე.

— ჰოო? მაგას რა სჯობია, — გამიღიმა, — ახლა დაღლილი ვარ, მაგაზე ხვალ ვილაპარაკოთ.

მეორე დილითაც „ვერ მოიცალა" გიამ ჩემთან სალაპარაკოდ. წარამარა საათზე იხედებოდა.

— სადმე გეჩქარება? — ველარ მოვითმინე და ვკითხე.

— ქეთი, მართლა აპირებ ბავშვის გაჩენას? — კითხვა შემომიბრუნა, — მარტო გაგიჭირდება შვილის გაზრდა. ასე რომ, სანამ დროა...

— რატომ მარტო?

— მე... მე ოჯახს უნდა დავუბრუნდე.

ხმა ვერ ამოვიღე, თავზარდაცემულს გაბმული ზარის ხმა მომესმა. კარი გავაღე. ახალგაზრდა ქალი შვიდიოდე წლის ბიჭუნასთან ერთად იდგა და დაკვირვებით მათვალიერებდა.

ჰო, დედა, გიას ცოლ-შვილი იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...იმ ღამეს სინათლე არ ამინთია სახლში და არც შემშინებია, დედა, მე ხომ მარტო არ ვიყავი.. „ნეტავი გოგო იქნებოდეს". — ჩუმად ვბუტბუტებდი. ის იყო ერთადერთი არსება მთელს ქვეყანაზე, რომელსაც დაკარგული რწმენის დაბრუნება შეეძლო ჩემთვის. მხოლოდ მას შეეძლო ჩემი გადარჩენა.

შენი სიტყვები ახლაც მესმის, დედა:

— უცოდველი არავინაა, მაგრამ რწმენადაკარგული ადამიანის სული გაცილებით მძიმეა, შვილო.

მხოლოდ ახლა ვხვდები ამ სიტყვების მნიშვნელობას.

გიას წასვლის შემდეგ ნათესავებს კვლავ გავახსენდი. ჩვენში ხომ ძირს დაცემულს მრავალი გულშემატკივარი ჰყავს. რა ვუყოთ მერე, თუ ადამიანის დაცემას თავადაც უწყობენ ხელს.

არ გეგონოს თავს ვიმართლებდე. თუმცა ადამიანს, რაც არ უნდა დამნაშავე იყოს, თავი მაინც მართალი ჰგონია. ბევრს ქარაფშუტა ვგონივარ, ზოგს უნებისყოფო. ჩემს შვილს კი უკანონოს ეძახიან. ის კი არ იციან, რომ თამუნია ჩემთვის ყველა კანონზე და სამართალზე ძვირფასია. მე ვეფხვივით ვარ მასზე გადაფარებული, ვინმემ რომ არ დამიჩაგროს. უგულო ადამიანის მეტი რა არის ამქვეყნად. რომ წამოიზრდება, ყველაფერს ვუამბობ. ვიცი, გამიგებს და არ გამამტყუნებს, რადგან მის წინაშე მაინც ვარ მართალი. ვერ დაგიმალავ, ძალიან მიჭირს. გუშინ შენი ნაჩუქარი ბეჭედი გავყიდე. დღეს ადამიანს აღარ აქვს ფასი, თორემ ოქრო ისე გაძვირდა, აღებული ფული თამუნიასათვის ერთ ხანს მაინც მეყოფა. ეჰ, მაინც წუწუნს მოვყევი. ვის დავაბრალო ჩემი შეცდომები. იქნებ გიას? გიას თავისი ცოდვებიც ეყოფა, ჩემი რომ არ დავუმატო.

შენი ხელების სითბოს ვგრძნობ, დედა. პატარაობისას რამეს რომ ვიტკენდი, შენი ალერსი ყველა ტკივილს მავიწყებდა. მერე რომ წამოვიზარდე, მოფერებაზე ვბრაზდებოდი, ბავშვი ხომ არავარ-მეთქი.

მაპატიე, უნდა გავიქცე. თამუნიას ეძინა და მეზობელს ვთხოვე, მასთან დარჩენილიყო. ახლა მალე გაიღვიძებს ჩემი პაწაწინა, ჩემი სიცოცხლე და გამართლება: უჩემოდ ერთ წუთსაც ვერ ძლებს. ისევე, როგორც მე ვერ ვძლებდი უშენოდ, დედა.

აწი ხშირად მოვალ შენთან. ხო, კარგი, კარგი არ შეგპირდები. ვიცი, შენ ყოველთვის გაგიხარდება ჩემი მოსვლა.

**მარინე ნაკაიძე**

## ექიმი გვირჩევს

# ტიკი

ტიკი (უნებლიე მოძრაობანი) განსაკუთრებით გავრცელებული დაავადებაა ბავშვებში, ავადმყოფებსა და მათ გარშემო მყოფთათვის აღიქმება, როგორც აკვიატებული ჩვევა და ხშირად მშობლების წყრომასაც კი იმსახურებს.

ტიკი ძირითადად ტვინის სტრუქტურების ცვლილებასთანაა დაკავშირებული, რაც გამოიხატება ცალკეული კუნთის ან უმეტესად კუნთთა ჯგუფის სწრაფი, უნებლიე შეკუმშვით და იწვევს სხეულის ნაწილების გადაადგილებას (ჰიპერკინეზები).

ყველაზე გავრცელებული, ე. წ. მარტივი ტიკებია: თვალის ხშირი ხამხამი, ცხვირის შეჭმუხნა, პირის კუთხის დაწევა, ტუჩის წამოწევა, თავის გვერდზე სწრაფი მიტრიალება და ქანქარი. ხოლო რთულ ტიკებში ჩათრეულია სხეულის სხვადასხვა კუნთები და წააგავს ნებით მოძრაობებს: ჟესტიკულაციებს, მისალმებას, წაცეკვებას; ასეთივეს განეკუთვნება ვოკალური ტიკები, როცა ხახისა და სასუნთქი კუნთების შეკუმშვა იწვევს სხვადასხვა სახის ბგერების უნებლიე გამოცემას.

ტიკი შეიძლება იყოს ფსიქოგენური და ორგანული წარმოშობის. ფსიქოგენური ხშირად უვითარდებათ ემოციურად ლაბილურთ, რასაც უსათუოდ წინ უძღვის სტრესული სიტუაციები, გადაღლა, შიში... წყნარ და მშვიდ გარემოში დაავადება უკუვითარდება, თუმცა ახალი სტრესის შემთხვევაში შესაძლოა კვლავ განმეორდეს. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების ქცევას. მათ უნდა გამოიჩინონ ავადმყოფისადმი განსაკუთრებული სითბო და ყურადღება.

ბევრად უფრო რთულია ორგანული წარმოშობის ტიკები. მიზეზი შეიძლება იყოს გადატანილი ინფექციური დაავადებანი (წითელა, ჩუტყვავილა, წითურა, ქუნთრუშა), თავის ტვინის ტრავმა და სხვადასხვა სახის ინტოქსიკაცია, რომლის დროს ირღვევა ტვინის ქერქქვეშა ბირთვების ფუნქცია, რაც გამოიხატება კატექოლამინების კონცენტრაციის მომატებით. კატექოლამინების გარეშე კი შეუძლებელია ნებისმიერი ნებითი მოძრაობა. დიფერენციისათვის ორივე შემთხვევაში აუცილებელია თანამედროვე აპარატურის გამოყენებით ავადმყოფს ჩაუტარდეს ფსიქოლოგიური და ნევროლოგიური გამოკვლევა.

განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ე. წ. გენერალიზებური ტიკი, ანუ ჟილ დე ლა ტურეტის სინდრომი. დაავადების მიზეზი ბოლომდე დადგენილი არ არის. იგი ძირითადად გვხვდება 2-დან 15 წლის ასაკის ვაჟებში. ჩათრეულია თვალი, სახე, თავი, კიდურები და გამოიხატება ჩაჯდომის მაგვარი, სხეულის მიტრიალებით, მენჯის ბიძგისებური მოძრაობებით, რასაც თან ერთვის ვოკალური ტიკებიც: სტვენის, ღრუტუნის, ყეფის მაგვარი ხმების გამოცემა, უწმაწური სიტყვების უნებლიე წამოძახებაც (კოპროლალია) ტიკის სახეობას მიეკუთვნება.

ამ რთული დაავადების გამოსარიცხად აუცილებელია კომპლექსური გამოკვლევა, რომელთა საწყისია ტიკის ან ჰიპერკინეზის სიმპტომი. ამის შესანიშნავი მაგალითია მცირე ქორეა, რომელსაც თავიდან ახასიათებს ტიკის მაგვარი ჰიპერკინეზები. ზოგიერთი სახის ეპილეფსიური გულყრაც შეიძლება აღიქვათ, როგორც ტიკი, ამიტომ აუცილებელია მაშინვე მიმართოთ ნევროლოგს.

მშობელმა უნდა იცოდეს, რომ ტიკი არ არის მავნე, აკვიატებული ჩვევა ან უბრალოდ ბავშვური ცელქობა და რომ ბავშვს არ შეუძლია ასეთ მოძრაობას კონტროლი გაუწიოს. ყოვლად დაუშვებელია ხშირი შენიშვნა, ყურადღების გამახვილება, რამაც შეიძლება ბავშვის ჯანმრთელობას სერიოზული ზიანი მიაყენოს. უმჯობესია ტიკის პირველი სიმპტომის შემჩნევისთანავე გამოკვლევისა და ადეკვატური ფსიქო და ფარმაკო თერაპიის ჩასატარებლად მიმართოთ ნევროპათოლოგს.

**ნუნუ ლაითაძე,**
ექიმი ნევროპათოლოგი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი.



საქართველოს ეროვნული

> „თუ უფალი არ აშენებს სახლს, ამაოდ გაირჯებიან მისი მშენებლები".
>
> დავით წინასწარმეტყველი.

მიანებს და ვილაც აუცილებლად უნდა გამოჩნდეს, რომელიც ჩამქრალ მადლს კვლავ ააგიზგიზებს.

ყველა ერს თავისი პრომეთეები ჰყავს, ისინი არიან ამ ერში კაცობრიული, ნაციონალური და პიროვნული სულის ამაღორძინებელნი. მათ სახელებთან არის დაკავშირებული, როგორც იოანე საბანისძე იტყოდა, „ჩვეულებისამებრ მამულისა სლვა". მათი

როს გახდა საქვეყნო საქმე
უსუსურთ სალეჭ კევადა"
(„სიყმე სიბერედ ვაქციე").

შერცხვენილია ის საზოგადოება, რომელშიც ვაჟა-ფშაველა თავს ზედმეტ ადამიანად იგრძნობს. სამწუხაროდ, ჩვენს დროშიც ბევრ ღირსეულ მამულიშვილზე სახალხოდ იმდენად უსინდისოდ და არაკაცურად ილაპა-

# „სული გასუქდეს ბევრით სჯობს"

არაფერია ახალი ამ მზისქვეშეთში, — ამბობს ბიბლიის ერთი უშესანიშნავესი წიგნი „ეკლესიასტე". თითქოს ადვილი უნდა იყოს ცხოვრება: რაც არის, ის უკვე იყო და რაც იქნება, ის უკვე არის, მაგრამ კაცობრიობის გასაჭირი აღარ მთავრდება. ძველი და ბანალური ჭეშმარიტებაა ის, რომ ისტორიის გაკვეთილებს არავინ სწავლობს.

ადამიანები იცვლებიან, მიზეზები და შედეგები კი იგივე რჩება.

სულ ცოტა, ორი მიზეზი აქვს იმას, რომ ჩვენ, ყველანი, ძველ შეცდომებს ვიმეორებთ — უცოდინრობა და იმის იმედი, რომ იმ ხაფანგს ადვილად დავაღწევთ თავს, ჩვენამდე მრავალი რომ გაბმულა, მაგრამ გამონაკლისები იშვიათად თუ ხდება.

ქართველები წარსულის უცოდინრობას მაინცდამაინც ვერ დავიბრალებთ. ერთი გამოსასწორებელი ზნე კი გვჭირს: ჭეშმარიტებები წიგნებში მოგვწონს და ცხოვრებაში აღარ გადმოგვაქვს (ამას ჯერ კიდევ ილია ჭავჭავაძე ამბობდა) სიბრძნით ერთობ „ალჭურვილები" ვართ; ვიცით, რა არის კარგი და რა — ცუდი, ყველაფერი ვიცით, მაგრამ ჩვენი ცხოვრება ამ ცოდნის შესატყვისი არ არის. რუსთველი მახსენდება: „არა ვიქმ, ცოდნა რას მარგებს ფილოსოფოსთა ბრძნობისა, მით ვისწავლებით, მოგვეცეს შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა" ჩვენი დიდი წინაპარი გვეუბნებოდა: თუ ისე არ იცხოვრე, როგორც გისწავლია, რაღად გინდა მაშინ ის სიბრძნე, წიგნებში რომ ამოგიკითხავს? სამყარო ჰარმონიაა, წესრიგია ღვთისაგან შექმნილი და ჩვენ იმიტომ ვეზიარებით ცოდნას — წარსულ თაობათა გამოცდილებასა და მომავლის განჭვრეტას, — რომ ამ ჰარმონიასა და წესრიგს შევუერთდეთ, მისი ღირსეული ნაწილები ვიყოთ... მაგრამ დღევანდელი ყოფა გაუცნობიერებული თუ დავიწყებული ცოდნის ტრაგედიაა.

ჭეშმარიტი ბრძენი ძველი ჭეშმარიტებების შემნახველი და განმაახლებელია. ის ღვთიური ცეცხლი, რომელიც პრომეთემ მოსტაცა ღმერთებს, ჟამითი ჟამად ჩაუქრებათ ხოლმე ადამიანებს

პირით ღმერთი გვესაუბრება, მათი დავიწყება ღვთის დავიწყების ტოლფასია.

როდესაც ერი ღვთისა და ჭეშმარიტების გზას ასცდება ან ნებით გადაუდგება, თუ კვლავ სიცოცხლე და აღდგომა სურს, საკუთარ მოძღვრებს უნდა დაუგდოს ყური და სახარების შეგონება შეისისხლხორცოს: „ეკრძალენით ცრუ წინასწარმეტყველთა". ცრუ წინასწარმეტყველი ღვთისათვის ბრმაა, ხოლო ბრმა თუ ბრმას წინ წარუძღვა, ორთავენი უფსკრულს ჩაცვივდებიან. მკითხველს შევთავაზებდი, ერთად გაგვეხსენებინა ჩვენი დიდი წინაპრის ვაჟა-ფშაველას პოეზია, რომელშიც ძალიან ბევრი სადღეისო კითხვაც არის დასმული და პასუხიც გაცემული — გენიოსის ნათქვამი ხომ ყოველთვის თანადროულია.

„ბაბილონს ენათ არევა
ჩვენი დროება მგონია:
როგორც ერთმანეთს ვეპყრობით,
რა ყურით გასაგონია?!
მდინარეს უნდა გავიდეთ,
ვერ გვიპოვნია ფონია;
უნდა ერთურთი ვითრიოთ,
მეტი არ არის ღონია.
ერთი რომ მეორეს ჰკილავს,
მით ძალი შაუწონია.
გამრავლდა ჩვენს ქვეყანაში
მიკიტანი და ჭონია...
მტერს კი ვერა ვმტრობთ, თავიდან
დავკარგეთ ჭკვა და გონია.
დავჩერებივართ ჩვენს ყოფნას,
რა ფრიად დასაღონია!..
(„ქებათა-ქება").

ძალზე ძნელია ადამიანი გაპარტახებულ ქვეყანას უმზერდე, ცრუ წინასწარმეტყველს აღევნებული კაცუნებისა და გამამაცებულ ქალთა აბსურდულ შემართებას ჭვრეტდე და არ გაგახსენდეს ვაჟას სასოწარკვეთით ნათქვამი სიტყვები:

„მე კაცთა შორის მეტი ვარ,
უნდა გავიჭრე ველადა, —
რაკი გადიქცა ეშმაკი
ტკბილმოსაუბრე გველადა
და თანამოძმე ეს ჩემი
მის ყურისმგდებელ ევადა.

რაკეს, იქნებ აფიქრებინეს კიდეც: „მე კაცთა შორის მეტი ვარ".

რა საოცარია: საზოგადოება ზოგჯერ იმდენად გამრუდდება ხოლმე, რომ მოძღვარს უმძაფრეს სიტყვებს ათქმევინებს: „ფურთხის ღირსი ხარ შენ, საქართველოვ!" (აკაკი) ანდა: „სიყმე სიბერედ ვაქციე, ერი კი — ვერა ერადა" (ვაჟა), ილიას „ბედნიერ ერზე" რომ არაფერი ვთქვათ, ვაჟას ეს ეოცნებებოდა:

„რა ტურფა სანახავია ქვეყანა ჭკვათა მყოფელი,
ერთის ფიქრით და გრძნობითა გამტკიცებული სოფელი".
(„მგოსანს")

სულ ერთიანობაზე ვლაპარაკობდით და ყოველთვის განცალკევებულობა გვღუპავდა. განთვითეულობას ან ნიჭიერი კაცის გამორჩეულობის სურვილი ბადებდა ან სხვის ნიჭიერებასა და გამორჩეულობას მიკედლება და ამით საკუთარი სარგებლის ძიება. ჩვენი უბედურება ის იყო და არის, რომ ვერაფრით მივმხვდარვართ: ერთის გამორჩეულობა შეიძლება ქვეყნის საკეთილდღეოდ ავსებდეს მეორისას და არა სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებოდეს მას. ერთსაც და მეორესაც პატრიოტული თუ კაცობრიული ლოზუნგი მიუძღვით წინ, თითქოს საქვეყნოდ ირჯებიან (არავინ და არასდროს არ გაჰყოლია იმას, ვინც აცხადებს: მხოლოდ ჩემს საქმეს ვიკეთებო), მაგრამ ვაჟასი არ იყოს, მხოლოდ „თავისად სცოცხლობენ". იქნებ სურთ, ან ჰგონიათ კიდეც, რომ ქვეყანას შველიან, მაგრამ, საუბედუროდ, ფუჭად მეცადინეობენ. ასეთებზე ამბობს ვაჟა:

„უქმად ჩაჰმალევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწვებითა,
დაჰკარგავთ სააქაოსა, ვერც საიქიოს სწვდებითა,
არ იცით, დასჩნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა!"
(„კაი ყმა")

ვაჟამ ძალიან კარგად იცის, რომ „საცა სიმართლე ჰლაღადებს, იქვეა აზრთა ცდომაცა!" მაგრამ მისთვის მიულებელია ტყუილის სიმართლედ გასაღება.

ქართველებს სხვაგან მოძიება არ გვჭირდება იმ ცნობილი ჭეშმარიტებისა, რომ ნათქვამს შესრულება აძშვენებს, მხოლოდ მიხვედრა და თქმა არასაკმარისია, აზრის ძალმოსილებას მოქმედება აგვირგვინებს — „სიტყვა საქმიანი და საქმე სიტყვიანი“ სულხან-საბამ გვიანდერძა (რუსთაველიც გვეტყოდა თინათინის პირით: „კაცმან საქმე მოიგვაროს, ვეჭვ, ჭმუნვასა ესე სჯობდეს!“): მანვე გვითხრა იგავით, მოლაყბენი რა სოფლის მაშენებელნიც არიან. ჩვენ კი ლამის მოურჩენელ სენად გვექცეს გაუთავებელი ლაპარაკი — ბევრმა საზოგადოდ რეალური ყოფიდან, ვგონებ, სიტყვებში გადაინაცვლა საცხოვრებლად. თუ ამისაგან არ გავთავისუფლდით და საქმეს არ მოვკიდეთ ხელი, მალე მოძღვრები დასამოძღვრებს გადაამეტებენ. ვინც დღეს მთელ ერს ჭკუას ასწავლის (ტელევიზიითა თუ გაზეთის ფურცლებიდან), ყველას რომ ამის რეალური შესაძლებლობა ჰქონდეს, ოდნავ უკეთ მაინც გვექნებოდა საქმე — ბევრი მქებნელი კი არ არის ჭეშმარიტების პოვნის გარანტია, არამედ რიგიანი მქებნელი.

ვაჟა ერთ უძველეს პრობლემას ეხება ამ საკითხებზე ფიქრში — მამებისა და შვილების დაპირისპირებას, მაგრამ საგულისხმოა, როგორ მოარიგებს ძველსა და ახალ თაობას ფუნქციების განაწილებით:

„ნუ გასჯავრდებით, შვილებო,
და ნუ დაგვიწყებთ გძობასა,
რომ ბევრი საქმე დაგიგდეთ გასაკეთებლად მოდგმასა.
ჩვენი დრო იყო გრძნობისა, ჩვენაც ვგლოვობდით, ვტიროდით,
რომ სნეულს წამალიც უნდა, იმას ველარა ვფიქრობდით.
დრო იყო შეუსაბამო, გარემოება ვერანი,
ამაოდ დაგვრჩა მამებსა ფიქრი და გულის ძგერანი.
ეგებ თქვენ დაიჯილავოთ
ბარათაშვილის მერანი!“

(„ანდერძი“).

ფიქრი წინ უსწრებს საქმეს. ვინც ფიქრობს, ვინც ხვდება, იმას ხშირად საქმეს არ აკეთებინებს „შეუსაბამო დრო“ და „ვერანი გარემოება“.

მაგრამ ვინც „შეუსაბამო დროს“ ხვდება, ჭვრეტს უბედურებას და სახავს მოქმედების გზას, უჩვენებს ამ გზას თაობას, რომელსაც თავად აღზრდის, ის სხვა გარემოებაში. ამოქმედებულ კაცზე ნაკლები ღირსებისა არ არის. ამის ვერ მიმხვედრი და მამების მაგინებელი, უწინარესად ყოვლისა, საკუთარი თავის უარმყოფელია.

მაგრამ როდესაც მოქმედების ჟამი დგება, იქ დაყოვნება დანაშაულია. მთავარ საქმესაც წინ უამრავი საკეთებელი უძევს.

„ეჰ, მეც დამლალა, დამამხო მარტო ფიქრმა და გრძნობამა.
არა მოგვცა-რა ლამაზის სიტყვებით ამაყობამა,
აღარ აყეფდა არწივი, ვეფხვი არ იბრძვის ტოტითა,
ერთხელ ჩაქმეზეც ვიფიქროთ, დარბაისელნო, მოდითა!“

(„ქებათა-ქება“)

ვინ უარყოფს, რომ დღესაც სათქმელია ეს სიტყვები? განა ის საკითხები, რომლებიც დაისახა ეროვნული მოძრაობის დასაწყისში, გადაწყვეტილია? განა იქ, სადაც ხელებდაკაპიწებულებს უნდა გვემუშავა, ნაბიჯი გადავდგით წინ? განა პატრიოტულმა საქმეებმა შეცვალეს პატრიოტული სიტყვები?

პატრიოტიზმი კვდება იმ წუთიდან, როდესაც ის ბანალური და მეტიც, მოსაწყენი ხდება. ამ საშიშროების წინ ჩვენ მთელი წელიწადი ვიდექით და ჯერ კიდევ არ გადაგვილახავს.

ორი უმთავრესი სენი გვაქვს დასაძლევი, ჩემის აზრით, დღეს ქართველებს: ფსევდო-პატრიოტიზმი და ფსევდო-რწმენა.

„თუ კაცობრიობა არ გიყვარს ნამდვილად, მაშინ არც სამშობლო გყვარებია ნამდვილად“, — წერდა ანატოლ ფრანსი. ერის სახე წარმოჩინდება მსოფლიო ღირებულებებთან მიმართებაში და სწორედ ამგვარად ორიენტირებული ქმნის ის მსგავს ღირებულებებს. ერზე მაღლა მხოლოდ ღმერთი დგას და ეს ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს. ღმერთი ამთლიანებს კაცობრიობას და მხოლოდ ღვთიური ანიჭებს ეროვნულს კაცობრიულის მნიშვნელობას. თუ ჩვენ დღეს გვსურს გვაღიაროს და მიგვიღოს მსოფლიომ, ეს ჭეშმარიტება უნდა შევიგუოთ, ეროვნულის ღამერთება და გაფეტიშება (ამ სიტყვის ყველაზე უარესი მნიშვნელობით) ჩვენი გზა არ უნდა იყოს. ეროვნული გზა მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიბრწყინებს, თუ ის ღვთიურია. ამას ამბობდა აკაკი სწორედ:

„ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა
და რომ ვიწვოდე, ვდნებოდე არ შემიძლია მეც განა?!“

აი, ეს არის ჩვენი გზა: პიროვნული — ეროვნულის გზით კაცობრიობისკენ.

ეს არ არის კოსმოპოლიტიზმი, ეს ჭეშმარიტი პატრიოტიზმია.

ვაჟასათვის უცხო იყო კოსმოპოლიტიზმი (იხილეთ მისი მშვენიერი წერილი „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“), მაგრამ თავის „ალუდა ქეთელაურით“ ისიც გვითხრა, რომ თუკი ადამიანისათვის ორი უძვირფასესი რამ — სამშობლოსა და ღვთის შეგრძნება მიმტევებლობისა და შემწყნარებლობის საზღვრებს გადასცდება, მაშინ სიყვარულის გზა მტრობის გზად გადაიქცევა, ხოლო ღვთისაგან ბოძებული და დალოცვილი ცხოვრება კი — სისხლში არსებობად:

„ვისაც მტერობა მასწყურდეს, გაალოს სახლის კარია,
სისხლ დაიგუბოს კერაში, თვითანაც შიგვე მდგარია.
ღვინოდაც იმას დაჰლევდეს, პურადაც მოსახმარია.
პირჯვარი დაიწეროდეს, მითამ საყდარში არია“.

ჩვენ უძველესი ერი ვართ — მიუხედავად ყველაფრისა, პატიოსანი, გონიერი და შრომისმოყვარე, უამისოდ აქამდე ვერ მოვაღწევდით — ისტორიის გრძელ გზაზე ბევრი შევიძინეთ, ბევრიც დავკარგეთ. საკუთარ თავს პატივი უნდა ვცეთ, თუ გვსურს სხვამაც იგივე გააკეთოს, მაგრამ გამორჩეულობას ტყუილად ნუ დავიჩემებთ — სხვაზე აღმატებული ერი არ ყოფილა და არც იქნება. ის კი უეჭველია, რომ უნდა „დავდგეთ ერად სხვა ერთა შორის“. ამას აუცილებლად მოვახერხებთ, თუ წარსულ შეცდომებს არ გავიმეორებთ და ახლა მაინც თუ ვაღიარებთ განათლების (სულიერების) პირველობას მატერიალურზე (ეკონომიკურზე).

„არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა, რომელი გამოვალს პირისაგან ღმრთისა“, — წერია სახარებაში.

ამ „სიტყვის“ მთქმელებმა თუ არ იმძლავრეს ჩვენში, დავილუპებით. მარადიულ ღირებულებებთა ზიარება წარმართავს ღვთიური გზით თანამედროვე მეცნიერებასა და ტექნოლოგიას. ამ მარადიულის შემნახავმა და გადამცემმა კაცებმა თავიანთი ძალუმი სიტყვა უნდა თქვან საქართველოში. ამ კაცებს მასწავლებლები ჰქვიათ.

ჩვენ ქვეყანაზე და ვაჟაზე ვსაუბრობდით და ისევ ვაჟას ნათქვამი გავიხსენოთ:

„რა ვუყოთ, მასწავლებელი დღეს არა ფასობს ჩვენშია.
თუმცა ხსნა ჩვენის ერისა მხოლოდდამხოლოდ თქვენშია.
სული გასუქდეს ბევრით სჯობს, ვიდრე გასუქდეს ლეშია!“

(„ლადო ბზვანელს“).

კონფუცი ამბობდა: „ძველად ადამიანები იმიტომ სწავლობდნენ, რომ სრულქნილებას მიახლებოდნენ, ახლა იმიტომ სწავლობენ, რომ სხვები გააოცონ“.

კაცთაგან სადიდებელ საქმეზე კი ნუ ვიფიქრებთ გზის დასაწყისში, საქმის კეთილად წარმართვაზე ვიფიქროთ. მხოლოდ ღირსეულ კაცთა ფიქრი და საქმე იხსნის საქართველოს. უღირსთა თავისუფლება მონების ოცნებაა მხოლოდ.

გია მურღულია

# ხულიო იგლესიასი აჯამებს თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს ინტერვიუ ესპანურმა ჟურნალმა „ოლაშ“ ხულიო იგლესიასს ერთობ ეგზოტიკურ ადგილას. მარაკეშის უდაბნოს ოაზისში ჩამოართვა თავის დაბადების დღეზე, როცა მსოფლიოში სახელგანთქმული მომღერალი 47 წლის გახდა. ხულიო აფრიკაში საკუთარი თვითმფრინავით ჩაფრინდა, რომელსაც „პახარო ლოკო“ (გიჟი ფრინველი) ჰქვია. ჟურნალმა 47 შეკითხვა დაუსვა იუბილარს. დღეს შემოკლებით გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

**— საიდან მოდიხარ, ხულიო და სად მიდიხარ?**

— მოვდივარ ლონდონიდან, სადაც ჩემი ახალი დისკის პრეზენტაცია ჩატარდა. ეჭვი არ მეპარება ეს კონცერტი ჩემი ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვანი ნამუშევარია. მართალი გითხრა, ძალიან ვამაყობ ამ დისკით. კონცერტს „სთარი ნაით“ (ვარსკვლავიანი ღამე) ჰქვია და ვან გოგს ეძღვნება. გენიოსს, რომელიც მაჯადოებს... მივდივარ პარიზში, იქიდან ჰოლანდიაში, ბელგიაში, გერმანიაში. შემდეგ დიდი ტურნე მელის აზიაში, ავსტრალიაში, სამხრეთ ამერიკაში.

**— შენ უამრავ ფულს იღებ. ხალხს ჰგონია, რომ უთავბოლოდ ხარჯავ მას.**

— მართალია, ფული უამრავი მაქვს, თუმცა ამას პირველად ვამბობ. მაგრამ გიჟი არ ვარ, არასოდეს იმაზე მეტს არ ვხარჯავ, რასაც ვიღებ. ფულს ჩემი შრომით ვშოულობ, სიმღერით. სიმდიდრეს მიწაში არ ვფლავ, მეგობრებთან ერთად ვხარჯავ, ცხოვრებით ვტკბები, მაგრამ დისციპლინას არც აქ ვღალატობ.

**— რაში ხარჯავ ფულს?**

— დროს ვყიდულობ, რომელიც ყველაზე მეტად მაკლია.

**— იცი, რამდენი ფული გაქვს?**

— არ ვიცი, დამიჯერე. საერთოდ ცუდად ვითვლი. ორჯერ ორი ხან ოთხი გამოდის, ხან ხუთი.

**— ფიქრობ, ახლა შენი ცხოვრების საუკეთესო წლებით ტკბები. ასეა?**

— ჩემი ესპანური ინსტინქტი მეუბნება, რომ მართალი ხარ.

**— როგორ მიაღწიე ამას?**

— ცოტა ნიჭით მეტი მუშაობით. არასდროს მეზარებოდა მესწავლა იმ ხალხისგან, ვინც ამ საქმეს ჩემზე უკეთ აკეთებდა.

**— ათბალიანი სისტემით რომ შეგაფასებინონ თავი, რამდენ ქულას დაუწერდი საკუთარ თავს?**

— შვიდს, ათამდე სამი ქულა მაკლია.

**— როგორ ფიქრობ ათამდე მიღწევას?**

— იცი რა, ძალიან მესიამოვნებოდა სტივ უანდერის და სინატრას ხმა რომ მქონდეს ერთად ჯღებული. მაგრამ სად არის?! მე ჩემი ხმა მაქვს, ხულიო იგლესიასის ხმა, რომელიც ღვინისა არ იყოს, წლებთან ერთად უმჯობესდება.



**— მიიხარი შენთვის დაუვიწყარი მისამართი.**

— ერთი მისამართი ვიცი ზეპირად, ჰიუსტონისა, სადაც ყოველდღე ვრეკავ, რომ გავიგო, რას ამბობენ თანამგზავრები, წვიმა იქნება თუ მზე იქ, საითაც მივემართები.

**— ფიქრობ, მზე ყოველთვის თან გდევს.**

— ის ჩემი ენერგიის წყაროა. როცა მზე არ ჩანს, იმ დღეს მოჭრილი ხესავით ვგრძნობ თავს.

**— მარტოობაზე რას იტყვი? ხანდახან მეჩვენება, რომ თუმცა ამდენი ხალხი გარტყია გარშემო, მაინც ისე, როგორც არასდროს, ეულად გრძნობ თავს.**

— მართალია, მარტო ვარ. მაგრამ ეს ლოგიკურად მიმაჩნია.

# ცხოვრებას







**— როგორ ფიქრობ, ხულიო, ჩვენი ბედი მართლა ვარსკვლავებშია გადაწყვეტილი, როგორც ერთ შენს სიმღერაში მღერიხარ?**

— ეს რომ მჯეროდეს, ბრძოლას აზრი დაეკარგებოდა. საერთოდ, მე მომავალზე ფიქრი მირჩევნია წარსულზე ფიქრს.

**— რას ნიშნავს შენთვის ღმერთი?**

— ის ბავშვობაში და ახალგაზრდობაში სულ სხვანაირად წარმომედგინა... ახლა მსოფლმხედველობა შემეცვალა, მაგრამ ვიცი, რომ ღმერთი არის, რომ ის ჩემთანაა და მე იგი მჭირდება.

**— რახან მაღალი ცნებები ვახსენეთ, სიკვდილზე რას იტყვი?**

— სიკვდილის მეშინია, მაგრამ თავს როგორ ვიმშვიდებ, იცი? მე მომცეს ცხოვრების შანსი. ვითომ რატომ უნდა წამართვან ახლა იგი?

**— უკანასკნელ წლებში დაოჯახებაზე არ გიფიქრია?**

— ბოლო შვიდი წლის მანძილზე განუწყვეტლივ ვებრძვი თავს. ერთხელ მომეჩვენა, რომ შესაფერისი მომენტი მქონდა დაქორწინებისთვის... არც ვიცი რატომ. მაგრამ ეს ძალიან სერიოზული და ძნელად გადასაწყვეტი საკითხია. (ხულიო იგლესიასი გაცილებულია პირველ ცოლს, ცნობილ ესპანელ მოდელიორს ისაბელ პრეისლერს, რომელთანაც სამი სრულწლოვანი შვილი ჰყავს. თ. გ.)

**— დაუვიწყარი ღამე, ხულიო?**

— ყველაზე მოკლე ღამე.

**— გაუსაძლისი ტკივილი?**

— როცა სიარული აღარ შეგიძლია.

**— განუმეორებელი სიყვარული?**

— ყველა წასული სიყვარული.

**— როდის შეგიყვარდა პირველად?**

— არ მახსოვს.

**— უკანასკნელად?**

— წუხელ, დღეს, ხვალ.

**— როდის შეხვდებით ისევ ერთმანეთს?**

— ორმოცდაათი წლის რომ გავხდები. ამავე ადგილას, ამავე დროს. გაძლევთ ხელს?



ესპანურიდან თარგმნა **თეა გვასალიამ**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# გულნარა ურატაძე

გულნარა პატარიძე -ურატაძისა დასავლეთ სამყარო-ში ცნობილი ჟურნალისტია. იგი უკვე რამდენიმე წელია რადიოსადგურ „თავისუფლების“ ქართული რედაქციის დირექტორია მიუნხენში.

გულნარა ურატაძე დაიბადა პარიზში 1943 წელს. მისი მამა იყო ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ეროვნულ-დემოკრატი, 1924 წლის სახალხო ამბოხების მონაწილე, პარიზში გამომავალ ჟურნალ „ივერიის“ რედაქტორი ელისე პატარიძე (1896-1975), ხოლო დედა გახლავთ შესანიშნავი ქართველი პატრიოტი ქალი თამარ ალშიბაია, რომელიც პარიზში ცხოვრობს და დღესაც მხნედ გამოიყურება. გულნარას ერთი ძმა —არჩილი თბილისში ცხოვრობს, ხოლო და-ძმა —თინა და ოთარი პარიზში. მეუღლე — რადიო „თავისუფლების“ თანამშრომელი, ჟურნალისტი დავით ურატაძე გარდაიცვალა.

გულნარა ურატაძემ უმაღლესი განათლება პარიზში მიიღო, დაამთავრა სორბონის უნივერსიტეტი და მას შემდეგ აქტიურ მოღვაწეობას იღებს ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებაში, თანამშრომლობს ემიგრანტულ ქართულ პრესაში („ივერია“, „თავისუფლების ტრიბუნა“, „გუშაგი“...) ენერგიულად ედგა მხარში ჩვენს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას... ოცნებობს სამშობლოში ჩამოსვლაზე, რომელიც ჯერ თვალით არ უნახავს...

გთავაზობთ მის ერთერთ წერილს, რომელიც გამოქვეყნებული იყო ჟურნალ „ივერიაში“ (პარიზი, 19 №)

გურამ შარაძე

# ქართველი ქალები საკონცენტრაციო ბანაკებში

საბჭოთა კავშირის საკონცენტრაციო ბანაკებზე ბევრი მოგონება, ნარკვევი თუ რომანი დაწერილა იმ პირების მიერ, რომლებმაც ათეული წლები გაატარეს „სოციალისტური“ საბჭოეთის ჯოჯოხეთში. ამ შრომების ღირსება ისიც არის, რომ მათი ავტორები, უმთავრესად, არიან ყოფილი გამოჩენილი კომუნისტები სხვა და სხვა ქვეყნებიდან, ისე როგორც თვით საბჭოთა კავშირიდან. რა თქმა უნდა, ყველა ეს ნარკვევი, მოგონება თუ რომანი, უმეტესად უცნობია საბჭოთა კავშირის მოსახლეობისათვის, მაშასადამე, ქართველი ხალხისათვისაც. აქვე მკითხველს მოვახსენებ იმასაც, რომ მასალების გარკვეული ნაწილი საბჭოთა კავშირში გამოდის ე. წ. „თვითგამოცემის“ გზით, მაგრამ მათი გავრცელება მოსახლეობის ფართო ფენებში შეუძლებელია, გასაგებ მიზეზთა გამო.

საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკებზე და „ჩეკა“, „გეპეუს“, „ემგებეს“ მუშაობის მეთოდებზე დეტალური მოგონებები და ნარკვევები გამოაქვეყნეს ისეთმა კომუნისტებმა, როგორც იყვნენ არტურ კესტლერი, ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს საბჭოთა პროპაგანდის მიერ ჩეპაევად წოდებული ილ კამპესიო, ცნობილი პუბლიცისტი მარგოლინი და სხ. შრომა ამ უკანასკნელისა, რომელმაც მრავალი წელი გაატარა ხსენებულ ბანაკებში და რომელიც განთავისუფლების შემდეგ დასავლეთში აღმოჩნდა, ჩვენთვის, ქართველებისათვის, იმითაც არის საინტერესო, რომ ის სიმპათიურად მოგვითხრობს პატიმარ ქართველების დარბაისლურ და მამაცურ საქციელზე.

საკონცენტრაციო ბანაკებზე კაპიტალური შრომები გამოაქვეყნეს აგრეთვე საბჭოთა მწერლებმაც. აქედან უნდა გამოიყოს ნობელის პრემიის ლაურეატის, მწერალ ალექსანდრე სოლჟენიცინის რომანი „ივან დენისოვიჩის ერთი დღე“, რომელიც, სხვათა შორის, ქართულ ენაზეც ითარგმნა, და „გულაგის არქიპელაგი“, ანდრეი ავალრიკის „არასასურველი მოგზაურობა ციმბირში“ და სხვა მრავალი. აქ აღარ შევჩერდები ისეთ წერილებსა და მიმართვებზე საერთაშორისო საზოგადოებრიობისადმი, რომელთა ავტორები არიან აკადემიკოსი სახაროვი და სხვები და რომლებიც ეხებიან საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკების სისტემას.

ამ წერილში მკითხველის ყურადღებას შევაჩერებ მხოლოდ 1967 წელს დასავლეთში გამოქვეყნებულ მწერალი ქალის ევგენია სიმონის ასულ გინზბურგის მოგონებებზე საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკების შესახებ— „სასტიკ მარშრუტზე“, რომელიც ითარგმნა ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სხვა ენებზე. ეს წიგნი იმით არის საინტერესო, რომ ევგენია გინზბურგმა, ჯერ ერთი, 18 წელი გაატარა საკონცენტრაციო ბანაკებში, უმთავრესად ციმბირში, და მეორე —იგი თავის მოგონებებში აღწერს მხოლოდ ქალების ეტაპს ციხიდან საკონცენტრაციო ბანაკებისაკენ.

30 წლის ასაკში მყოფი ევგენია გინზბურგი დაპატიმრებული იქნა 1937 წელს და გაანთავისუფლეს 1955 წელს. მას შემდეგ იგი ცხოვრობს საბჭოთა რუსეთში. „სასტიკი მარშრუტი“ არის ისტორია ინტელიგენტი, მამაცი და დევნილი, თუმცა უდანაშაულო ადამიანისა, რომელსაც წაართვეს ქმარი, შვილები, კერა, პროფესია; და ეს ყველაფერი მოხდა მის საკუთარ ქვეყანაში... მაგრამ ის დარჩა ცოცხალი, ფიზიკურად და მორალურად შეურყეველი. მან განთავისუფლების შემდეგ გადაწყვიტა სიმართლე დაეწერა საკონცენტრაციო ბანაკებზე და საბჭოთა კავშირში არსებული ცხოვრების პირობებზე. მან ეს შესანიშნავად შესძლო წიგნში, რომელიც დასავლეთის საზოგადოებრიობამ მიიღო ჩვენი დროის ისტორიულ დოკუმენტად.

თქვენს ყურადღებას შევაჩერებ ევგენია გინზბურგის წიგნის ერთ თავზე, რომელსაც ეწოდება „მეშვიდე ვაგონი“.

ევგენია გინზბურგი ამ თავში აღწერს პატიმარი ქალების გადაყვანას იაროსლავის ციხიდან ციმბირის ერთ-ერთ ბანაკში. აი რას წერს იგი ციხეში არსებულ ცხოვრების პირობებზე: „იაროსლავის საკავშირო ციხეში, ცალკეულ საკანში მოთავსებული პატიმრები სდუმდნენ 730 დღის განმავლობაში. ექვსი წლის მანძილზე, ყოველდღიურად, ხმარებაში იყო მხოლოდ 5 სიტყვა: „ადგომის დროა“; „ადუღებული წყალი“; „გასეირნება“; „ვახშამი“; „დაწოლის დროა“.

ევგენია გინზბურგი მოგვითხრობს, თუ როგორ მოხდა პატიმარი ქალების გადაყვანა იაროსლავის ციხიდან ბანაკში. ქალები მოთავსებულნი იყვნენ რკინიგზის ვაგონებში, რომელთაც ჰქონდა წარწერა — „სპეციალური მოწყობილობა“. ეს სპეციალური მოწყობილობა სხვა არაფერი იყო, თუ არა პატიმარი ქალები, რომლებიც გარკვეულ ბედნიერებას განიცდიდნენ იმით, რომ მარტო არ იყვნენ და ცოტაოდენი ლაპარაკის უფლება ჰქონდათ ერთმანეთში, რაც დიდად განსხვავდებოდა იაროსლავის ციხეში არსებულ პირობებისაგან.

პატიმრებს შორის ორი ქართველი ქალი იმყოფება. ევგენია გინზბურგი მათ შემდეგნაირად ახასიათებს.

„თამარ კარაზაშვილი, პატიმრებში თამარ მეფედ წოდებული, ამაყად იჭერს თავს. იგი 1935 წლიდან იმყოფება პატიმრობაში. თამარი ქალიშვილია ცნობილი კრიტიკოსის. მას ნაციონალისტობას აბრალებენ. თამარ კარაზაშვილი თავის-თავს თვლის ნამდვილ პოლიტიკურ პატიმრად და ზევიდან უცქერის 1937 წლის პატიმრების გარკვეულ კატეგორიას, იმისთვის რომ მათ არ გააჩნიათ დამოუკიდებელი აზროვნების უნარი; იმისთვის, რომ ისინი კი არ მოითხოვენ, არამედ თხოვნით მიმართავენ ჯალათებს. საგალითოა, განაგრძობს გინზბურგი, თამარის მხნეობა, ჭირთა შინა გამაგრების უნარი და უცნაურად გაათკეცებული ენერგია.

ნინო ლვინიაშვილი იყო თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრის მხატვარი. მას ყოველი სიტყვა, გინდ რუსულად, გინდ ფრანგულად, ისე ლამაზად, ადვილად, გამოენებით გამოუდიოდა, რომ არავინ არ იყო ნაწყენი, მაშინაც კი, როდესაც ნინო საყვედურს ამბობდა. პირიქით, — წერს გინზბურგი, მან მოგვხიბლა ჩვენ ყველა, შეიძლება იმიტომ რომ, ნინო იყო კოხტა, ლამაზი, საინტერესო ქალი. მას განსაკუთრებით ლამაზი და მიმზიდველი მწვანე თვალები ჰქონდა.

შემდეგ ევგენია გინზბურგი წერს: „დაღამდა, მაგრამ ქალებს არ სძინავთ და ჩუმად საუბრობენ, განსაკუთრებით კავკასიელები და გერმანელები, თამარ კარაზაშვილი, ჩანს, კმაყოფილია იმით, რომ გერმანიის კომპარტიის წევრს, მარია ცახერს აინტერესებს საქართველოს ისტორია და საჭირო კითხვებს აძლევს თამარს. თამარი ჩუმად მოუთხრობს: „მაღალი კულტურა... ქრისტიანობა მეოთხე საუკუნიდან... შოთა რუსთაველი... ჩემი ხალხი, ამაყი, მამაცი, უშიშარი... ცოტათი ეპიკურელი...“

სხვათა შორის, — განაგრძობს ევგენია გინზბურგი, ნინო ლვინიაშვილმა ბანაკში მანქანის ავარიის შედეგად დაკარგა მარჯვენა თვალი, მისი ლამაზი, მწვანე თვალი; და როცა დამწუხრებულნი მის სანახავად ბანაკის საავადმყოფოში მივედით, მან თვითონვე გვითხრა „ნუ წუხდებით, გოგოებო! ისეთი ცხოვრების სანახავად, როგორიც — ჩვენია, ერთი თვალიც საკმარისია“.

ქალბატონ ლვინიაშვილის ამ ხატოვან თქმას საკონცენტრაციო ბანაკებში გამოსწყვედეულთა უნუგეშო მდგომარეობაზე, როგორც ამბობენ, კომენტარი არ სჭირდება, ასეთია ეს ცოცხალი და მეტყველი დოკუმენტი, რომელიც ქართველი ქალის სიდინჯეს, მოთმინებასა და უაღრესად სულგრძელობაზე მეტყველებს.

ასეთი ქალები ქმნიდნენ საქართველოს ისტორიას, ჭედდნენ ქართველი ხალხის მომავალს, მათი განაწამები ცხოვრება ფუჭად არ ჩაივლის, განთავისუფლებული და მადლიერი ხალხი მათ ძეგლს დაუდგამს და წმინდანებად აღიარებს.

**გულნარა ურატაძე**

## მკითხველი ფიქრობს, მსჯელობს, გვთავაზობს

**ძვირფასო ქალებო! რა ფიქრებს აღძრავენ ეს წერილები, რომლებიც დღეს თქვენს სამსჯავროზე გამოგვაქვს? მრავალს. მაგრამ მთავარი ერთია: შვილის გზის გამრუდებაში ქალზე ხშირად დედაა დამნაშავე. ვიფიქროთ ამაზე და გთხოვთ გამოგვეხმაუროთ.**

### გია ნარკომანი გახდა, რატომ?

სატელევიზიო გადაცემაში, ბოროტმოქმედთა ჯგუფში ყოფილი მეზობლის ბიჭი ვიცანი. მერე მეზობლებისგან გავიგე, გია ნარკომანი გამხდარიყო.

თვალწინ დამიდგა მისი ბავშვობა ჩემს აივანთან თამაშობდნენ. მკვირცხლი და საქმიანი ბიჭი იყო. ყველამ ვიცოდით, გიას დედა, მანანა ცუდ ცხოვრებას ეწეოდა. ამას ვერ ამჩნევდნენ მხოლოდ ოჯახის წევრები. მაგრამ ბოროტი ენები იმასაც ამბობდნენ, ყველაფერი იციან და თვალს ხუჭავენ, რადგანაც რძალი ოჯახს არჩენსო.

მანანა სამსახურიდან ხშირად გვიან ღამით ბრუნდებოდა. სადაც მუშაობდა, იმ დაწესებულების უფროსი, როგორც წესი, მისი საყვარელი ხდებოდა. იცვლებოდა სამსახურები, იცვლებოდნენ მამაკაცები და მანქანები. სახლში დაბრუნებულ დედას ორი შვილი, ბიჭი და გოგონა დაძინებული ხვდებოდა.

ასე გადიოდა დღეები, იზრდებოდნენ ბავშვები და მოხუც ბებიას გამოეპარა შვილიშვილის პირველი სიგარეტი. მერე ბიჭმა სხვაც მოსწია და ბოლოს ნარკომანი გახდა.

დედაა მთავარი შვილების აღზრდაში. ამ შემთხვევაში დედა იყო მთავარი დამნაშავე ბიჭის გზის გამრუდებაში, თორემ ის რომ ერთგული და თავდადებული ქალი ყოფილიყო, როგორ გამოეპარებოდა გიას საბედისწერო ნაბიჯი.

ახლა კი გვიანღაა თითზე კბენანი. რა მოელის ბიჭს ან რიხი ღირსია დედამისი?

ზიული ნ.

თბილისი

### საჩიფათო თამაში

ჩვენი საავადმყოფოს ახალგაზრდა ექიმზე უნდა გიამბოთ. მშვენიერი ქალია, ქმარშვილიანი, მეუღლეც კარგი კაცია, ორი თოჯინასავით გოგონა ჰყავთ და ორი ბებია — დედამთილი და მისი და. ისინი უვლიან ოჯახს, ნინიკო საოჯახო საქმისაგან თავისუფალია.

სამსახურში ყველა მას შენატრის. თვითონ კი არ აფასებს ამ ბედნიერებას. ჩვენი განყოფილების ახალგაზრდა ქირურგი მოწონს და მთელი დღე მასთან ტრიალებს, მოსვენებას არ აძლევს, ხან წინ წამოუსკუპდება პაპიროსით ხელში, ხან დაბადების დღეზე მიჰყავს, ზოგჯერ სახლშიც ეპატიჟება ხადილად.

ნინიკომ განა არ იცის, რომ ნიკა ცოლად არ წაიყვანს, არც თვითონ ოცნებობს ამაზე, მაგრამ დროსტარებაზე უარს არ ამბობს.

სახლში კი ორი დახატული გოგონა ლამაზ დედიკოს ელოდება. დედას მათთვის არ სცალია. ბებიები ამშვიდებენ: დედა მალე მოვა და სამსახურში აღარ წავაო.

ამას ვნატრობთ ჩვენც, ნუ მოვა ნინიკო სამსახურში, ოჯახს, შვილებს მიხედოს.

მარიამ ზ.

თბილისი

### დოლარებზე ფიქრმა შვილები დაავიწყა

დიდი ხანია რძალი არ მელაპარაკება, არც მანამდე სიამოვნებდა ჩემთან ურთიერთობა. ახლა სულ გადიდგულდა. სამი წელია, თვეში ერთხელ, თურქეთში დადის. იმდენი ფული იშოვა, შინ სულ დოლარებზეა ლაპარაკი.

ჩემი ვაჟი ხშირად სახლშია და ბავშვები ჰყავს ჩაბარებული. როცა სამსახურში მიდის, გოგონები მარტო რჩებიან.

ამასწინათ, რძალს შევუთვალე, ასე ხშირად ნუ დადიხარ საზღვარგარეთ, ნუ ტოვებ ქმარშვილს უყურადღებოდ, ცუდი დროა, ქურდობა და ავაზაკობაა ირგვლივ. გოგონები არავინ შეაშინოს-მეთქი, მაგრამ ვინ გისმენს?

მე თუ რამე ავუკრძალე, ის უკუღმა აკეთებს და ახეც შემომითვალა: აწი შენს ჯინაზე, ყოველ კვირა უცხოეთში ვივლიო.

დღემდე ვერ დავაჯერე, რომ მის სიცოცხლესაც ჭუფრთხილდები, როგორ შეიძლება შვილების დედა თავს არ ზოგავდეს, ამოდენა გზაზე დარბოდეს და მხოლოდ დოლარებზე ფიქრობდეს და ოცნებობდეს. როგორები გაიზრდებიან გოგონები? ვინ უნდა იფიქროს მათ სულიერებაზე, თუ არა დედამ?

მე მგონი ასეთი „დოლარომანია“ კარგს არაფერს მოუტანს ჩვენს ქალებს.

თინა ზ.

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კულინარია კულინარია

## ცხვრის ხორცი კომშით

1 კილო ცხვრის ხორცისათვის მოშუშეთ დუმაში, ერბოში ან კარაქში 4-5 თავი ალყა-ალყა დაჭრილი ხახვი, თესლგამოცლილი და ასევე დაჭრილი 2-3 ცალი წითელი ბულგარული წიწაკა, მოშუშვის შემდეგ დაასხით 6-7 ჭიქა ცხელი წყალი, მოათავსეთ შიგ გარეცხილი მთლიანი ხორცის ნაჭრები და მოხარშეთ. მოხარშულ ხორცს მოაშორეთ ძვლები, დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, კვლავ ჩააბრუნეთ წვენში, შეაზავეთ თქვენი გემოვნებით მარილითა და შავი პილპილით, ზემოდან დააწყეთ 4-5 ცალი გათლილი კომშის ნაჭერი და დატოვეთ ქვაბი ნაზ ცეცხლზე იმ დრომდე, რომ კომში მოიხარშოს და არ ჩაიშალოს, სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ მცირეოდენი დარიჩინი.

## გამომცხვარი კარტოფილი ხორცის ფარშით

მასალა: კილონახევარი კარტოფილი, 500 გრამი ძროხის რბილი ხორცი, 3-4 თავი ხახვი, 100 გრამი კარაქი ან 50 გრამი ერბო, 100 გრამი კამა, 50 გრამი ოხრახუში, 200 გრამი არაჟანი.

მოხარშული კარტოფილი გაატარეთ ხორცის მანქანაში, გაყავით ორ ნაწილად, ერთი ნაწილი მოათავსეთ ცხიმწასმულ ტაფაზე, დაფარეთ (მოხრაკული ხახვით, კამით და შავი პილპილით შეზავებული) მოხარშული ხორცის ფარშით, ზემოდან მოათავსეთ კარტოფილის მეორე ნაწილი, შედგით გაზქურაში და გააჩერეთ ზედაპირის კარგად დაბრაწვამდე. რომ არ დაგეშალოთ. უმჯობესია ტაფას დააფაროთ თეფში და გადმოაპირქვაოთ. ოდნავ რომ შეგრილდება, მოასხით არაჟანი და მორთეთ ოხრახუშის ღეროებით.

შეგიძლიათ რამდენიმე ცალ უმ კარტოფილს ამოუღოთ გული, ღრმული ამოავსოთ ფარშით, დააწყოთ კარტოფილები ცხელ, ზეთიან ტაფაზე, შედგათ გაზქურის ღუმელში, შებრაწოთ და გამომცხვარი კარტოფილის ღვეზელს შემოულაგოთ ირგვლივ!

## არაჟნისსაწებლიანი თევზი

კარგად დამუშავებული, ფხებგამოცლილი და ბრტყელ ნაჭრებად დაჭრილი თევზი (ლოქო, ფარგა, ხეკი, ვირთევზა) ჯერ ამოავლეთ მარილწყალში, შემდეგ ორცხობილას ფხვნილში ან პურის ფქვილში და შეწვით ზეთში. შემწვარ თევზს მოასხით არაჟანის საწებელა, დაფარეთ ზემოდან გახეხილი უმარილო ყველით (უმჯობესია შვეიცარული) და კარაქით, შედგით გაზქურაში და დააყოვნეთ კარგად შებრაწვამდე.

მასალა: 1 კილო თევზი, 200-250 გრამი არაჟანი, 2 ცალი კვერცხი, 150-200 გრამი ყველი, 50 გრამი კარაქი, ოხრახუში და კამა 50-50 გრამი.

არაჟანის საწებელა მოამზადეთ ასე: მოხარშული და დაკეპილი კვერცხი კარგად შეურიეთ არაჟანში და შეაზავეთ წვრილად დაჭრილი მწვანილით.

## თევზი პომიდვრით

მასალა; 1 კილო თევზი (ლოქო, ფარგა, ვირთევზა, ხეკი), 500 გრამი პომიდვრის საწებელა ან ამდენივე კანგაცლილი და დახეხილი პომიდორი, 300 გრამი ხახვი, ნახევარი ჩაის ჭიქა ზეთი, ხუთ-ხუთი მარცვალი შავი და სურნელოვანი პილპილი, 3-4 დაფნის ფოთოლი, მარილი გემოვნებით.

ფხებგამოცლილი და პატარა ნაჭრებად დაჭრილი თევზი, ფენებად ჩააწყვეთ მომინანქრებულ ქვაბში, თევზის ყოველ ფენას მოაყარეთ თხელ ალყებად დაჭრილი ხახვი, დაფნის ფოთოლი, შავი დ არომატული პილპილი, დაასხით ზეთი, პომიდვრის საწებელა ან გახეხილი პომიდორი, შეაზავეთ მარილით, დაახურეთ თავსახური, შედგით საშუალო ზომის ცეცხლზე და ადუღეთ 20-30 წუთის განმავლობაში.

## ბრინჯი ვაშლით

მომინანქრებული თუჯის ქვაბის ძირი ან ღრმა ტაფა ოდნავ შეათბეთ, რომ კარაქი დადნეს და მთელ ძირს მოედოს; გადმოდგით ცეცხლიდან, დაალაგეთ ზედ ბრტყლად და მოსქელო ნაჭრებად დაჭრილი გათლილი ვაშლი. ზემოდან მოაფინეთ ბრინჯი და შაქრის ფხვნილი. შემდეგ ისევ ვაშლი, ისევ ბრინჯი და შაქრის ფხვნილი (შეგიძლიათ მოამზადოთ 3 ფენა), ბოლოს, ზემოდან აქაიქ დაალაგეთ კარაქის პატარა ნაჭრები, დაახურეთ ქვაბს სახურავი და შედგით ნაზ ცეცხლზე.

30-35 წუთის შემდეგ ფლავი მზად იქნება.

მასალა: 2 ჩაის ჭიქა მოწალული და გაწურული ბრინჯი, 150 გრამი კარაქი ან 100 გრამი ერბო, კილონახევარი კარგი ვაშლი, 50 გრამი შაქარი (ბრინჯის ყოველ ფენისათვის 2 ჩაის კოვზი) კარგი იქნება სუფრაზე მიტანისას თითო ბლის, ლოღონშოს ან მარწყვის მურაბით მორთოთ.

გამოგადგები

## თუ კბილი აგტკივდათ, გთავაზობთ სამ რჩევას

1. ოჯახში ყოველთვის იქონიეთ შალფეი. კბილის ატკივებისას წამოადუღეთ და გაწურული თბილი ნაყენი ჩაიგუბეთ პირში. ეს პროცედურა გაიმეორეთ ხშირ-ხშირად, ნახევარი საათის განმავლობაში ხუთჯერ მაინც, ტკივილი დაგიცხრებათ.

2. აიღეთ ღორის ქონის პაწაწინა ნაჭერი, თუ მარილიანია, გარეცხეთ, შემდეგ დაიდეთ მტკივან ადგილას, ღრძილსა და ლოყას შორის და გააჩერეთ 15-20 წუთს, სანამ ტკივილი არ გაგივლით. ჩვეულებრივ, ამ მეთოდით კბილის ტკივილი ხანგრძლივად გაგიყუჩდებათ.

3. ყურში, იმ მხარეს, საითაც კბილი გტკივათ, ჩაიდეთ მრავალძარღვას ფესვი და გააჩერეთ ტკივილის დაყუჩებამდე. ლოდინი ნახევარი, ან ერთი საათი მოგიწევთ.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
რედაქტორის
99-98-71;
პ. მგ. მდივნის
99-71-68;
ცნობებისათვის
98-95-79

მასალები გადაეცა ასაწყობად 9. 03. 92. წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 05. 92. წ. ქაღალდის ზომა 60 × 90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 73.000. შეკვ. 291.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ორსახოვანი ჯეკი



ჯეკ ნიკოლსონი

შეუდარებელ ჯეკ ნიკოლსონს 22 აპრილს 55 წელი უსრულდება. იგი დღემდე რჩება ჰოლივუდის ყველაზე პოპულარულ და ძვირადღირებულ მსახიობად, რეჟისორები ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას მომავალი ფილმის ტიტრებში მთავარი როლის შემსრულებლად სწორედ მისი გვარი იხსენიებოდეს, რაც უდავო კომერციული წარმატების საწინდარია. სუპერვარსკვლავმა თვითონაც სცადა ბედი რეჟისურაში, გადაიღო ფილმი „ორი ჯეიკი", გაგრძელება ერთობ გახმაურებული სურათისა „ჩინური კვარტალი", სადაც ნიკოლსონმა თავისი ერთ-ერთი საუკეთესო როლი შეასრულა.

ჯეკ ნიკოლსონი მულტიმილიონერი გახდა, — ჯოკერის როლმა ყველასათვის კარგად ცნობილ სურათში „ბეტმენი" მას 50 მილიონი დოლარი მოუტანა, — თუმცა, როდესაც ფინანსებთან დაკავშირებით ეკითხებიან რაიმეს, სხვა დროს ფიცხი და შეუპოვარი კინოვარსკვლავი (სხვათა შორის, იგი საკმაოდ სკეპტიკურად ეკიდება ჟურნალისტებს და რეპორტიორებს მას შემდეგ, რაც „ერთმა ტიპმა" ტაიმსიდან" ქვეყანას აცნობა, რომ ქალი, რომელიც მას საკუთარ დად მიაჩნდა, სინამდვილეში, დედამისი ყოფილა, ხოლო მანამდე ჯეკი თავის მშობლებად ბებიას და ბაბუას თვლიდა. ეს ამბავი თურმე 38 წლის მსახიობისთვისაც კი აღმოჩენა გახლდათ). შეცბუნებულ სახეს იღებს: „დედამ მირჩია, ფულზე ხალხში ნურასოდეს ილაპარაკებო", პასუხს თავაზიანად არიდებს თავს ჯეკი.

# „ეძიებდე და ჰპოვებდე"



დევიდ ბოუი და იმანი

იქნებ სწორედ ამის გამოცაა, რომ „ვარსკვლავური ოჯახები" ჩვეულებრივზე ხშირად განიცდიან ცვალებადობას. თაყვანისმცემელთა ყურადღებით განებივრებულ „ვარსკვლავებს" ხომ უბრალო მოკვდავთაგან განსხვავებული პირადი ცხოვრება აქვთ. მათთვის გაცილებით უფრო ძნელია იპოვონ ის „ერთადერთი", რომელიც ყველაზე უკეთ გაუგებს, დააფასებს, გულის გულში ჩასწვდება და, ხშირად, მართლაც რომ აუტანელ „ვარსკვლავურ" ცხოვრებას შეუმსუბუქებს. ეძიებდე და ჰპოვებდეთ.. და ისინიც ეძებენ, ეძებენ დაუსრულებლად...

უორენ ბიტი, ჰოლივუდის ეს ჭეშმარიტი დონ ჟუანი, 54 წლის ასაკში „გონს მოეგო" და გადაწყვიტა ბედნიერი მამა გამხდარიყო. უთუოდ ქების ღირსია ქალი, რომელმაც ეს „სულის სარგო" აზრი შთააგონა მას, და მართლაც, 33 წლის ანეტ ბენინგი, ჩვენთვის უცნობი მსახიობი, ყველა ღირსებით არის შემკული, რომ ამ დაუოკებელი მაძიებლის პირმშოს დედა გახდეს.



ანეტ ბენინგი და უორენ ბიტი

მეხივით დაატყდა სიყვარული ჰოლივუდის ორ ცნობილ მსახიობს, ორ სექსსიმბოლოს, მიშელ პფაიფერს და ალ პაჩინოს, რომელთაც ადრე მაფიასთან ძნელად გასარკვევი ურთიერთობებიც აკავშირებდათ. მიშელ პფაიფერი მონაწილეობდა ფილმში „მაფიაზე გათხოვილი", ხოლო ალ პაჩინო დონ კორლეონეს (მარლონ ბრანდოს) ღირსეული მემკვიდრე და მისი საქმის ბრწყინვალე გამგრძელებელი გახლდათ სურათში „ნათლია".

ცხელმა ზაფხულმა უწყალობა დევიდ ბოუის მხურვალე გრძნობა იმანის მიმართ. მასაის ტომის ასულმა, სილამაზის ეგზოტიკურმა დედოფალმა, ამერიკის ერთერთმა უბრწყინვალესმა ფოტომოდელმა ერთი შეხედვით მოინადირა ცნობილი კინოვარსკვლავის გული.

ახალშექმნილ წყვილთა გალერეაში განსაკუთრებული ნათელით ბრწყინავენ კატრინ დენევი და პიერ ლესკური. მათმა დუეტმა გაუძლო მრავალწლიან გამოცდას, თუმცა ისინი თავიანთი მყარი ბედნიერებით საჯაროდ არ ამაყობენ. ამიტომაც განსაკუთრებით ფასეულია მათი ერთობლივი ფოტოსურათი, რომელიც ყოვლისმცოდნე და ბევრისმნახველი ფოტორეპორტიორებისთვისაც კი იშვიათობას წარმოადგენს.

ხანგრძლივი თანაცხოვრებისათვის პირველობა კი უთუოდ მილენ დემონჟოსა და მარკ სიმენონის მომხიბვლელ წყვილს უნდა მიენიჭოს. ისინი 1968 წელს შეუღლდნენ სამოქალაქო ქორწინებით და მეოთხედი საუკუნის ბედნიერი ცოლქმრობის შემდეგ, ურთიერთისადმი კვლავაც ნაზი სიყვარულით გამსჭვალულნი წარსდგნენ საკურთხეველთან, რათა ჯვრისწერით განემტკიცებინათ თავიანთი კავშირი.

„ყველა ბედნიერი ოჯახი ერთმანეთს ჰგავს," ბრძანა ტოლსტოიმ, მოგვიტევოს მისმა დიდმა აჩრდილმა, მაგრამ ამ „ვარსკვლავურ წყვილებზე", ვფიქრობთ, ეს გამოთქმა ვერ გავრცელდება. თუმცა გამონაკლისიც ხომ ხშირად საერთო კანონის დამადასტურებელია.

მოამზადა **ლია ენუქიძემ**

ფასი 3 მან.

6251/53

ინდექსი 7617

